

მიწის შესყიდვისა და განსახლების სამოქმედო გეგმა

GEO: MAR- 01

მარნეულის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის, ბოლნისის
კოლექტორისა და წყალარინების სისტემის მშენებლობა

მრავალ-ტრანშიანი საფინანსო კრედიტი

საქართველო: ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა

PR: 43405-ICB-MAR-01 - ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო
პროგრამა (USIIP ტრანში 6) სესხი N: 3441



Asian Development Bank



საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია

2019 წელი

Contents

აბრევიატურები	iii
ტერმინთა განმარტება.....	i
ქალაქი ბოლნისი	4
მდებარეობა	4
შეჯამება.....	5
თავი 1. პროექტის საფუძველი და მიზნები	11
თავი 2. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების სოციო-ეკონომიკური პროფილი	17
თავი 3. კომპენსაციის პირობები.....	24
თავი 4. სამართლებრივი ჩარჩო	36
თავი 5. ინსტიტუციონალური მოწყობა	45
თავი 6. კონსულტაციები და LARP-ის საჯარო განხილვა.....	46
თავი 7. საჩივრების განხილვის მექანიზმი.....	48
თავი 8. მონიტორინგი და ანგარიშგება	53
თავი 10. LARP-ის ბიუჯეტი და საკომპენსაციო განაკვეთები	54
დანართები	57
დანართი 1. განხორციელებული საჯარო კონსულტაციების მომიხილვა.....	58
დანართი 2. საჩივრის ფორმა	60
დანართი 3. საჩივრის სარეგისტრაციო ჟურნალის ნიმუში	61
დანართი 4. საინფორმაციო ბუკლეტი.....	62
დანართი 5: სოციო-ეკონომიკური კვლევის ფორმა	74
დანართი 7: LARP -ის განხორციელების გრაფიკი	80
დანართი 8: საჯარო შეხვედრები.....	81

აბრევიატურები

ADB	აზიის განვითარების ბანკი
AH	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნე
AP	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირი
DMS	დეტალური აზომვითი კვლევა
DP	ადგილმონაცვლე პირი ¹ .
EA	აღმასრულებელი სააგენტო
GRC	საჩივრების განხილვის კომისია
GRM	საჩივრების განხილვის მექანიზმი
IPMO	საინვესტიციო პროგრამის მართვის სამსახური
IP	აბორიგენი, მკვიდრი, ძირძველი მოსახლეობა
IVS	შეფასების საერთაშორისო სტანდარტები
LARF	მიწის შესყიდვისა და განსახლების ჩარჩო-დოკუმენტი
LARP	მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა
MFF	მრავალტრანშიანი დაფინანსების მექანიზმი
NAPR	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
MLARO	მუნიციპალური მიწის შესყიდვისა და განსახლების სამსახური
MRDI	ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო
PMU	პროექტის განმახორციელებელი ერთეული
ROW	გასხვისების დერეფანი
SPS	უსაფრთხოების პოლიტიკის დებულებები
USIIP	ურბანული მომსახურების განვითარების საინვესტიციო პროგრამა
UWSCG	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია

¹ პირი, რომელსაც პროექტის ზემოქმედების შედეგად მოუხდა ფიზიკური გადაადგილება (მაგ. საცხოვრებელის შეცვლა).

ტერმინთა განმარტება

პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირი /შინამეურნე	იხილეთ ქვემოთ ადგილმონაცვლე პირების განმარტება.
კომპენსაცია	პროექტის შედეგად დაზიანებული ან პროექტის მიზნებისათვის შესაძენი ქონების კომპენსაცია ნატურით ან ნაღდი ფულით არსებული საბაზრო ფასის შესაბამისი ჩანაცვლებითი ღირებულების ოდენობით.
კომპენსაციის მიმღებთა დადგენის საბოლოო თარიღი ² (ე.წ. „cut-off date„)	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების ³ აღწერის დასრულების თარიღი.
დეტალური აზომვა	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთებისა დეტალური აზომვა და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული აქტივების ინვენტარიზაცია.
ადგილმონაცვლე პირი (DP) / პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირი (AP)/ შინამეურნე (AH)	ყველა პირი, რომელზეც აისახება პროექტის ზემოქმედება; კერძოდ, მიწის გასხვისება, ადგილმონაცვლეობა, ან შემოსავლის დაკარგვა. ეს განსაზღვრება მოიცავს მსგავსი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ნებისმიერ პირს, შინამეურნეს (ზოგჯერ მოიხსენიებენ, როგორც პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ ოჯახებს), ფირმას, საჯარო ან კერძო დაწესებულებას. ამდენად, ადგილმონაცვლე პირები არიან ისინი, რომლებიც ა) ექცევიან პროექტის გასხვისების კორიდორში, ან სამშენებლო არეალში და მათზე უშუალოდ ვრცელდება პროექტის პირდაპირი ზემოქმედება, და შედეგად კარგავენ: ბ) საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ შენობა-ნაგებობას (საცხოვრებელი სახლი ან დამხმარე ნაგებობა); გ) სასოფლო-სამეურნეო მიწას ან შემოსავლის მომტან აქტივებს/ქონებას (ხეები, მოსავალი); დ) შემოსავალს ბიზნეს საქმიანობის დროებით ან სამუდამოდ შეჩერების შედეგად; ე)

² მოცემული პროექტისათვის ეს თარიღია 2019 წლის 18 იანვარი.

³ წყარო: p. ii; Involuntary Resettlement Safeguards A Planning and Implementation Good Practice Sourcebook (ADB 2012) <https://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/32827/files/ir-good-practices-sourcebook-draft.pdf>

	<p>სამსახურს/სამუშაოს; ვ) ხელმისაწვდომობას თემის რესურსებზე, საერთო/საზიარო ქონებაზე.</p> <p>წინამდებარე LARP-ის კონტექსტში, „ადგილმონაცვლე“ და „პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირი“ შესაძლოა სინონიმებად ჩაითვალოს.</p>
უნებართვოდ შეჭრილი პირი	<p>პირი, რომელიც კომპენსაციის მიმღებთა დადგენის საბოლოო თარიღის შემდეგ დაიკავებს რაიმე ტერიტორიას პროექტის გასხვისების კორიდორში, ვერ მიიღებს კომპენსაციას ან პროექტით გათვალისწინებულ სხვა დამატებით ბენეფიტებს (სარეაბილიტაციო ღონისძიებები).</p>
უფლებამოსილება (კომპენსაციის პირობები)	<p>რიგი ღონისძიებები, რომლებიც მოიცავს კომპენსაციას ნატურით ან ნაღდი ფულით, რელოკაციის ხარჯებს, დახმარებას შემოსავლის აღდგენის მიზნით, დახმარებას გადაადგილების პროცესში, ბიზნესის აღდგენასა/დაკარგული შემოსავლების ჩანაცვლებას, გათვალისწინებული პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეობისათვის მათი ზარალის ხასიათისა და მასშტაბის მიხედვით და რაც საკმარისია რათა შინამეურნეობმა შესძლონ სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენა.</p>
ზარალის აღწერა (ინვენტარიზაცია)	<p>პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების შეფასებამდე ჩატარებული წინასწარი აღწერა.</p>
საარესებო საშუალებები	<p>საარესებო (შემოსავლის) წყარო</p>
პირი, რომელსაც უკანონოდ აქვს დაკავებული მიწა	<p>ფიზიკური პირი, რომელსაც არ გააჩნია მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებადი დოკუმენტი და არ აქვს უფლება მოითხოვოს დაკავებული მიწის ლეგალიზება. მათ შორის პირები, რომლებიც სარგებლობენ სახელმწიფო მიწით, ოფიციალური ნებართვის ან სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე.</p>
ჩანაცვლებითი ღირებულება	<p>ჩანაცვლებითი ღირებულება არის იმ თანხის ოდენობა, რაც საკმარისი იქნება პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული აქტივის შესაბამისი ქონების შესაძენად ამორტიზაციის, ტრანზაქციის ხარჯების და მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი მასალების ღირებულების გამოკლების გარეშე.</p> <p>სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით კომპენსაციის თანხის გაანგარიშების დროს გასათვალისწინებელია: სამშენებლო</p>

	მასალების გონივრული საბაზრო ფასი, ტრანზაქციის რეგისტრაციის ხარჯები, დარიცხული სარგებელი, რელოკაციისა და გადასვლის ხარჯები; და სხვა დაკავშირებული გადასახდელები.
მოზიარე მეიჯარე	პირი, რომელიც ამუშავებს კერძო პირისგან იჯარით აღებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას და მოსავლის ნაწილით იხდის საიჯარო ქირას.
პროექტის მძაფრი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეები	შინამეურნეები, რომლებიც პროექტის ზემოქმედების გამო კარგავენ შემოსავლის მომცემი აქტივების 10 %-ს და/ან ან მეტს.
მოწყვლადები	ნებისმიერი პირი, რომელზეც განსახლების ზემოქმედება შესაძლოა გაცილებით მძაფრად და ნეგატიურად აისახოს, ან მარგინალიზაციის რისკის წინაშე აღმოჩნდეს. კერძოდ, (i) მარჩენალ-დაკარგული ქალები, რომლებიც ინახავენ ოჯახის წევრებს, (ii) უნარ-შეზღუდული ოჯახის წევრი, (iii) სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახი, (iv) პირი, რომელსაც საკუთრებაში და/ან სარგებლობაში არა აქვს მიწა, (v) საარსებო წყაროს გარეშე დარჩენილი მოხუცები; (vi) შინამეურნე, მიწაზე საკუთრების უფლების გარეშე;

ქალაქი ბოლნისი

მდებარეობა

ქ. ბოლნისი მდებარეობს მდინარე მაშავერას შუა დინებაში, ზღვის დონიდან 550 მეტრის სიმაღლეზე, თბილისიდან 64 კილომეტრში, რკინიგზის სადგური მარნეული-კაზრეთის ხაზზე. ბოლნისის მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლის რეგიონის ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენს, რომელიც რეგიონის ცენტრალურ ნაწილშია განთავსებული. მას აღმოსავლეთით-მარნეულის, დასავლეთით-დმანისის, ჩრდილოეთით-თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები საზღვრავს, სამხრეთით კი სომხეთის რესპუბლიკა ესაზღვრება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ფართობი 463 ჰა, საიდანაც ძირითადი ნაწილი ვაკეებითაა წარმოდგენილი, ხოლო ჩრდილოეთი კიდე გორაკ-ბორცვიან მთისწინეთით. ვაკე ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია მშრალი სუბტროპიკული სტეპური ჰავა, ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით;

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შედგება 53 590 კაცისაგან. მოსახლეობის სიმჭიდროვე არის 98 კაცი კმ²-ზე, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67 კაცი/კმ²) საკმაოდ აღემატება. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმრავლესობას 63,38%-ით აზერბაიჯანელები წარმოადგენენ, 30.91%-ქართველები და 5,02%-სომხები.

მუნიციპალიტეტის ძირითად შემოსავლებს უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობა, მრეწველობა (მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, კვარციტის საწარმო, ღვინის ქარხნები), მცირე მეწარმეობა (ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება) და საჯარო სამსახურები. მუნიციპალიტეტს ეკონომიკური განვითარების გეგმის პრიორიტეტებია: სოფლის მეურნეობა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობა, ასევე ქვის მოპოვება-დამუშავების გაფართოება და ტურიზმის განვითარება. მუნიციპალიტეტში ოთხი ძირითადი ფერმერული მეურნეობაა განვითარებული: მეცხოველეობა და მემცენარეობა

მეცხოველეობა — სოფლის მეურნეობის დარგი, რომლის ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოშენება და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. მუნიციპალიტეტში მეცხოველეობა ფართოდ არის გავრცელებული. მიმდინარე წლის მონაცემებით, ადგილობრივი მოსახლეობის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 13 200 სულია, მათი რაოდენობა უკანასკნელ წლებში თითქმის არ შეცვლილა. მუნიციპალიტეტის სამოვრებზე ერთ ჰექტარზე 1.3 ადგილობრივი მოსახლეობის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 1.8 ცხვარი სარგებლობს.

მემცენარეობა

ბოლნისის მუნიციპალიტეტში ფართოდ არის გავრცელებული მემცენარეობა. პრიორიტეტული კულტურებია: ხორბალი (მოსავლიანობა 3ტ/ჰა), კარტოფილი (24ტ/ჰა), პომიდორი (18ტ/ჰა), კიტრი (24ტ/ჰა) და ყურძენი (5ტ/ჰა). ბოლო 10 წლის განმავლობაში მათი მოსავლიანობა არ შეცვლილა.

წყლის რესურსები და წყალმომარაგება

ბოლნისის მუნიციპალიტეტს მიწისქვეშა და ზედაპირული წყლის მცირე რესურსი გააჩნია. წყლის რესურსები წარმოდგენილია ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების სახით. ჭარბტენიანი ფართობი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ მოიპოვება. წყლების ზედაპირული დაკვირვებით ბოლო 10-20 წლის განმავლობაში რაიმე მნიშვნელოვანი ჰიდროლოგიური ცვლილების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. ადგილი აქვს ზედაპირული წყლების უმნიშვნელო ნაწილის. მაგ. ზოგიერთი მცირე ნაკადულის დაშრობას, ამ უმნიშვნელო ცვლილების მიზეზად კლიმატის ცვლილებას კერძოდ, გვალვა უკავშირებენ. მოსახლეობის წყალმომარაგება როგორც სასმელად, ასევე საირიგაციოდ დმანისის მუნიციპალიტეტიდან მოწოდებული წყლით ხორციელდება. მცირე ნაწილი წყალმომარაგებისათვის, როგორც სასმელად, ისე სარწყავად მიწისქვეშა წყლებსაც იყენებს. არსებული წყლის რესურსი არ არის საკმარისი მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

მუნიციპალიტეტში წყალმომარაგება ძირითადად დაფუძნებულია ზედაპირულ წყლებზე. ქალაქის მოსახლეობას აქვს ცენტრალიზებული წყალმომარაგება და საკანალიზაციო კოლექტორები.

შეჯამება

1. საქართველოს მთავრობამ მიმართა აზიის განვითარების ბანკს (ADB) სესხის: 3441-GEO: ურბანული მომსახურების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში - პროექტი 6: **MAR-01 მარნეულის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის, ბოლნისის კოლექტორისა და წყალარინების სისტემის მშენებლობის დაფინანსების** მიზნით.
2. ქ. მარნეულის და ქ. ბოლნისის წყალარინების სისტემა თითქმის არ არსებობს. ამ ეტაპზე მარნეულის მოსახლეობის დაახლოებით 20% მიერთებულია არსებულ კანალიზაციის ქსელთან, ხოლო ბოლნისის წყალარინების ქსელი ამორტიზირებულია და საჭიროებს რეაბილიტაციას. კანალიზაციის ქსელი მოწყობილია DN200 და DN800 დიამეტრის მილებით. აღნიშნული საკანალიზაციო ქსელი მოძველებულია და ვეღარ უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების მიღებას. საპროექტო ზონაში მოქცეულ დასახლებაში ჩამდინარე წყლების ჩაშვების სისტემა და გამწმენდი ნაგებობა არ არსებობს. დაბინძურებული

წყლების ორგანიზებული შეკრება საერთოდ არ ხდება. აქედან გამომდინარე მაღალია დამაბინძურებელი ნივთიერებებით მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების, ასევე ნიადაგის დაბინძურების რისკები, რაც საფრთხეს უქმნის ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობას.

3. ქ. ბოლნისისა და ქ. მარნეულის წყალარინების სისტემის რეაბილიტაციის პროექტი მოიცავს არსებული ჩამდინარე წყლების ქსელის სრულ რეაბილიტაცია/მშენებლობას და მაგისტრალურ კოლექტორზე დაერთებას. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ ქ. მარნეულისა და ქ. ბოლნისის წყალარინების ქსელი უზრუნველყოფს ორივე ქალაქის მოსახლეობის წყალარინებით 100%-იან მომსახურებას. საპროექტო გამყვანი კოლექტორის მიზანია ბოლნისის საყოფაცხოვრებო წყალარინების წყლის გაყვანა მარნეულის საპროექტო გამწმენდ ნაგებობამდე. კოლექტორის საერთო სიგრძე შეადგენს დაახლოებით 27.2კმ.
4. მარნეულის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის განთავსება დაგეგმილია ქალაქის დასავლეთ მხარეს, ხოლო ქალაქ ბოლნისის მდებარეობს ქალაქ მარნეულის აღმოსავლეთით, აქედან გამომდინარე ბოლნისის საპროექტო გამყვანი კოლექტორის ჩართვა გათვალისწინებულია ქალაქ მარნეულის საპროექტო წყალარინების შემკრებ სისტემაში, რომელიც საბოლოო ჯამში საყოფაცხოვრებო წყალარინების წყალს აწვდის დაგეგმილი გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე. გამყვანი კოლექტორზე გეზნიშნის გასწვრივ არსებული ტოპოგრაფიული პირობების გათვალისწინებით ეწყობა 2 სატუმბი სადგური.
5. ბოლნისის კოლექტორის გაყვანის და კანალიზაციის სატუმბი სადგურის მოწყობის მიზნით, საბოლოო დიზაინის მიხედვით, საჭირო გახდა გასხვისების დერეფანში მოქცეული 1 ერთეული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის უსასყიდლოდ კომპანიის კაპიტალში შემოტანის პროცედურის განხორციელება (1640კვ.მ) და 14 ერთეული მიწის ნაკვეთის ნაწილობრივი შესყიდვა, საერთო ფართობით 2165 კვ.მ.
6. ამჟამად, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ფლობს/სარგებლობს და მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით იყენებს. შესაბამისად, პროექტის მიზნებისათვის აღნიშნული ტერიტორიის ასათვისებლად საჭიროა კერძო მფლობელობაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების შესყიდვა. ამასთან, მოეწყობა და გაუმჯობესდება ახალი მისასვლელი გზები, რათა მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებმა დაუბრკოლებლად განაგრძონ მიწის ნაკვეთების დარჩენილი ნაწილით სარგებლობა.
7. მიწის შესყიდვის და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური და სოციალური ზემოქმედების, კომპენსაციების გაცემის პირობებისა და პროექტის ზემოქმედებაში

მოქცეული პირებისათვის საარსებო საშუალებების შენარჩუნების მიზნით, საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის, არანებაყოფლობითი განსახლების თაობაზე ADB-ს უსაფრთხოების პოლიტიკის დებულებებისა (SPS 2009) და განსახლების ჩარჩო-დოკუმენტის შესაბამისად, UWSCG-მ მოამზადა განსახლების და მიწის შესყიდვის გეგმა (შემდგომში LARP-ი).

8. LARP-ი განსაზღვრავს პროექტის მიზნებს და განხორციელების გრაფიკს, ახდენს პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების დეფინიციას, ადგენს კომპენსაციის მისაღებად საჭირო კრიტერიუმებს და კომპენსაციის მიმღებთა დადგენის საბოლოო თარიღს (ე.წ. „cut-off date“), ადგენს საჩივრების განხილვის მექანიზმს, სამართლებრივ და ინსტიტუციონალურ ჩარჩოს, ზემოქმედებაში მოქცეული პირების პროექტის ციკლში და საჯარო კონსულტაციებში ჩართულობას, კომპენსაციის პირობებს და შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრულ საკომპენსაციო განაკვეთებს, დამატებით სარეაბილიტაციო და შემარბილებელ ღონისძიებებს, რომლებიც გამოიყენება პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირებისათვის კომპენსაციის გაცემის, მათი საარსებო წყაროსა და ცხოვრების სტანდარტის აღდგენის მიზნით.
9. წყალარინების სისტემის სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება გასხვისების დერეფანში და ბოლნისის მაგისტრალური გზის სიახლოვეს განლაგებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გარკვეულ ფართობს დაიკავებს. მიწის მესაკუთრეთა უმეტესობა ცხოვრობს სოფელ ცურტავში, რომელიც თითქმის ემიჯნება ქალაქ მარნეულს. პროექტის დიზაინის მიხედვით, საჭირო იქნება გასხვისების დერეფანში მოქცეული 11 შინამეურნის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული 14 (თოთხმეტი) ერთეული მიწის ნაკვეთის ნაწილის შესყიდვა და 1 შინამეურნის არამართლობიერ სარგებლობაში არსებული 1 ერთეული მიწის ნაკვეთის საკომპენსაციო ღონისძიება.
10. პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული თხუთმეტი (15) მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი შეადგენს 13 811 კვადრატულ მეტრს. მათ შორის, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული თოთხმეტი (14) მიწის ნაკვეთის ნაწილი (2165 კვ.მ) ექვემდებარება გამოსყიდვას, ხოლო ერთი (1) მიწის ნაკვეთი (1640 კვ.მ) უსასყიდლოდ გადმოეცემა კომპანიას, მაგრამ აზიის განვითარების რეგულაციების გათვალისწინებით მოსარგებლე მიიღებს დაკარგული შემოსავლების შესაბამის საკომპენსაციო განაკვეთს გამოსასყიდი მიწის ნაკვეთების ფართობის დიდი წილი (10 006 კვ.მ) პროექტის გასხვისების დერეფნის საზღვრებს მიღმა რჩება. აღნიშნული 14 მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს საშუალება ექნებათ განაგრძონ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, რადგან მიწის შესყიდვის შემდეგ კერძო საკუთრებაში დარჩენილი მიწის ფართობი (10 006 კვ.მ.) ეკონომიკური საქმიანობისათვის კვლავ გამოსადეგი იქნება. ამდენად, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული, გამოსასყიდი მიწის ფართობი მთლიანობაში შეადგენს 2165 კვადრატულ მეტრს. ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს პროექტის ზემოქმედების მასშტაბებს გასხვისების დერეფანში.

ცხრილი 1. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთებისა და გამოსასყიდი მიწის შემაჯამებელი მონაცემები

ზემოქმედების მასშტაბი	მიწის ნაკვეთების რ-ობა	მთლიანი ფართობი (კვ.მ.)	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ფართობი (კვ.მ.)	კერძო საკუთრებაში დარჩენილი მიწის ფართობი (კვ.მ.)
მიწის ნაკვეთის ნაწილის გამოსყიდვა	14	12 171	2 165	10 006
სახელმწიფოსგან მიწის ნაკვეთის უსასყიდლოდ გადმოცემა	1	1 640	1 640	0
სულ	15	13811	3805	10006

11. საერთო ჯამში, „ობლად დარჩენილი“ მიწის ნაკვეთის შემთხვევაში, კერძოდ როდესაც მიწის ნაკვეთის ნაწილობრივი შესყიდვის შემდეგ მიწის ნაკვეთის საკუთრებაში დარჩენილი ნაწილი კარგავს პირვანდელ დანიშნულებას და შესაბამისად ეკონომიკურად უსარგებლო ხდება, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს მთლიანი მიწის შესყიდვა და შესაბამისი ოდენობის ფულადი კომპენსაცია.
12. აღსანიშნავია რომ, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ, არცერთ მიწის ნაკვეთზე არ დგას საცხოვრებელი სახლი ან რაიმე ტიპის შენობა-ნაგებობა. შესაბამისად, პროექტის ზემოქმედების შედეგად შინამეურნეებს არ მოუწევთ ფიზიკური განსახლება, ანუ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა მიწის ნაკვეთი მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის გამოიყენება, სადაც მესაკუთრეებს ერთწლიანი კულტურები მოჰყავთ.
13. პროექტის ზეგავლენა არ ვრცელდება მეტალის ღობეებზე ან აგურით ნაშენ კედლებზე. მიწის ნაკვეთები დაყოფილია მიწის ყრილებით, რომლებიც ასრულებს საზღვრის როლს. იხ. ფოტო ქვემოთ:



14. პროექტის სამშენებლო სამუშაოების შედეგად, პროექტის ზემოქმედება ძირითადად სეზონური მარცვლეულის მოსავალზე გავრცელდება, რამაც შესაძლოა გარკვეული შეფერხება შეუქმნას მიწის მესაკუთრეებს მიწის ნაკვეთის ნარჩენ ფართობზე სეზონური მოსავლის მოყვანის პროცესში.
15. გასხვისების დერეფანში, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთები გამოიყენება მხოლოდ ერთწლიანი კულტურების მოსაყვანად, შესაბამისად ზემოქმედების ქვეშ არ ექცევა არცერთი მრავალწლოვანი ნარგავი.
16. LARP-ში დეტალურადაა აღწერილი პროექტის ზემოქმედების მასშტაბები, როგორცაა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთების რაოდენობა, მიწის მესაკუთრის(ების)/მფლობელების სახელი და გვარი და მიწის ნაკვეთებზე მოყვანილი ერთწლიანი კულტურები, სეზონური მარცვლეული.
17. LARP-ის მომზადების პროცესში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:
 - ა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ჩანაწერების გადასინჯვა სისტემურად და სპორადულად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების თაობაზე;
 - ბ. მომზადდა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთების, მათი მესაკუთრეებისა და მოსარგებლეების პირველადი სია;

გ. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთების ადგილზე იდენტიფიკაცია და ნუმერაცია;

დ. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა შინამეურნის აღწერა და მათი სოციო-ეკონომიკური მონაცემების შეგროვება;

ე. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთების დემარკაცია და აზომვა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის, ან მისი კანონიერი წარმომადგენლის, მომიჯნავე მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების ან მათი კანონიერი წარმომადგენლების, ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და ხელისუფლების წარმომადგენლების თანდასწრებით;

ვ. დემარკაციისა და აზომვების დროს იდენტიფიცირებული, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების ინვენტარიზაცია მესაკუთრის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და ხელისუფლების წარმომადგენლების თანდასწრებით;

ზ. ლიცენზირებული შემფასებლის მიერ პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების დამატებითი ინვენტარიზაცია, უძრავი ქონების ბაზარზე მეორადი გაყიდვების კვლევა, შეფასების ანგარიშის მომზადება და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწისა და აქტივებისათვის კომპენსაციის განაკვეთების დადგენა;

თ. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული თითოეული მიწის ნაკვეთისათვის, ზემოქმედების ტიპებისა და მასშტაბების მიხედვით დეტალურად ჩაშლილი საკომპენსაციო პაკეტის მომზადება.

18. აღნიშნული კვლევების საფუძველზე, ნათლად გამოიკვეთა პროექტის ზემოქმედების სრულყოფილი სურათი, განისაზღვრა და დაიგეგმა მიწის შესყიდვისათვის, ტრანზაქციის რეგისტრაციისა და კომპენსაციის გაცემისათვის აუცილებელი საფეხურები და იურიდიული პროცედურები, რაც განსახილველად წარედგინა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს და პროექტის სხვა ბენეფიციარებს.

19. პროექტის ზემოქმედება გავრცელდება 12 შინამეურნის მფლობელობაში არსებულ 15 მიწის ნაკვეთზე.

20. ქვემოთ შეჯამებულია მოცემული პროექტის ზემოქმედების მასშტაბები:

- ა. მიწის ნაკვეთი: 15
- ბ. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნე: 12 (სულ 64 პირი, მათ შორის 37 კაცი და 27 ქალი)
- გ. ფიზიკური განსახლება: 0
- დ. ეკონომიკური ადგილმონაცვლეობა: 12 შინამეურნე
- ე. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (რაოდენობა/ ზემოქმედების ფართობი): 15/3805 კვ.მ
- ზ. სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ გადმოსაცემი მიწის ნაკვეთების (რაოდენობა/ფართობი): 1/1640 კვ.მ

- თ. ნაწილობრივ გამოსასყიდი მიწის ნაკვეთები (რაოდენობა/ფართობი): 14/2165 კვ.მ.
- ი. მიწის ნაკვეთი ერთწლიანი კულტურით (რაოდენობა /ფართობი): 15 /13891 კვ.მ.
- კ. სამუდამოდ შეწყვეტილი /დროებით შეჩერებული ბიზნეს საქმიანობა: 0
- ლ. ხელფასის/ჯამაგირის დაკარგვა: 0
- მ. ზემოქმედებაში მოქცეული დამხმარე ნაგებობები: ღობე, კედელი, სხვა: 0
- ნ. მძაფრი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთი: 12
- ო. მოწყვლადი შინამეურნე: 1

თავი 1. პროექტის საფუძველი და მიზნები

პროექტის მიმოხილვა

21. ქ. მარნეულის და ქ. ბოლნისის წყალარინების სისტემა თითქმის არ არსებობს. ამ ეტაპზე მარნეულის მოსახლეობის დაახლოებით 20% მიერთებულია არსებულ კანალიზაციის ქსელთან, ხოლო ბოლნისის წყალარინების ქსელი ამორტიზირებულია და საჭიროებს რეაბილიტაციას.
22. 2013 წელს საკონსულტაციო კომპანია „კოქსის“ მიერ მომზადებული ქ.მარნეულის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის სარეაბილიტაციო პროექტის დიზაინი, ხოლო 2018 წელს პროექტმა განიცადა ცვლილება და დაემატა ქ. ბოლნისის წყალარინების სისტემების კომპონენტი, რომლის დიზაინიც მოამზადა საკონსულტაციო კომპანიამ „საფეჟი“.
23. წარმოდგენილი პროექტი უზრუნველყოფს: (ი) ქალაქ მარნეულის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მოწესრიგებას; (იი) ქ. ბოლნისის წყალარინების სისტემის გაუმჯობესებას; და (იიი) პროექტის საბოლოო რეციპიენტების ცხოვრების დონის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხების სტიმულირების ხელშეწყობას.

მეთოდოლოგიის მიმოხილვა

24. LARP-ის მომზადების პერიოდში რამდენიმე ღონისძიება განხორციელდა. 2018 წლის 24 მაისს ქ. ბოლნისისა და ქ. მარნეულის მუნიციპალიტეტში გაიმართა მამულებური საჯარო შეხვედრები მოსახლეობასთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. 2019 წლის 17 იანვარს LARP-ის მომზადების საწყის ეტაპზე, ბოლნისის რაიონში, სოფელ ცურტავში UWSCG-მ მოაწყო საჯარო (საორიენტაციო) შეხვედრა. შეხვედრა ჩატარდა სოფელი ცურტავის მუნიციპალიტეტის შენობაში და დაესწრო 20 პირი: ადგილობრივი მოსახლეობა, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირები, სოფელ ცურტავის გამგებელი და UWSCG-ს განსახლების გუნდის წარმომადგენლები. დამსწრეებს შეხვედრის

ორგანიზატორებმა მიაწოდეს ინფორმაცია პროექტის მიზნების, მოლოდინებისა და შედეგების ზემოქმედების მასშტაბის, მოსალოდნელი მიწის შესყიდვების, ფულადი კომპენსაციის და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ (დანართი 8).

25. მოგვიანებით, UWSCG-ს განსახლების გუნდმა კიდევ რამდენიმე საჯარო შეხვედრა გამართა ადგილობრივ მოსახლეობასა და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებთან. ამ შეხვედრების მიზანი იყო საზოგადოების ინფორმირება LARP-ის მომზადების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებისა და კვლევების შესახებ და LARP-ის უმთავრესი მიზნის მისაღწევად, რომელიც ითავლისწინებს პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების სასიცოცხლო პირობების გაუმჯობესებას თუ არა, მათი სასიცოცხლო პირობების შენარჩუნებას პროექტის დაწყებამდე არსებული ღონის შესაბამისად. პროექტის ბენეფიციარებსა და ორგანიზატორებს შორის გამართულ შეხვედრებზე, დისკუსიებისა და კითხვა-პასუხის სესიის, დროს სათანადო და ადეკვატური ინფორმაციის გაზიარებამ ხელი შეუწყო პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების მოტივირებულ მზადყოფნას, ძალდაუტანებლად მიეღოთ მონაწილეობა 2019 წლის 05-30 იანვარს ჩატარებულ კვლევებში (დანართი 8).
26. UWSCG-ს განსახლების გუნდმა, განახორციელა სამაგიდო კვლევა და არსებული მონაცემების პირველადი გადამოწმება. ამის შემდეგ მოხდა საპროექტო დიზაინის ნახაზის შედარება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკადასტრო რუკებთან. გარდა ამისა, გუნდმა ადგილზე დაათვალიერა (ფეხით შემოიარა პროექტის გასხვისების კორიდორი) და ადგილზე დაადგინა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული თითოეული მიწის ნაკვეთი. ამასთან გუნდმა შეაგროვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების ხელთ არსებული მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ეროვნული რეესტრის საჯარო ჩანაწერები მიწაზე საკუთრების უფლების სტატუსის თაობაზე და მოახდინა ამ ინფორმაციის ღრმა ანალიზი.
27. შეგროვილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მომზადდა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების პირველადი სია, რომელიც მოიცავდა შემდეგ ინფორმაციას: პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთის მფლობელის/მესაკუთრის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო მონაცემები, მიწის ნაკვეთის ფართობი და საკუთრების უფლების რეგისტრაციის სტატუსი.
28. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა მიწის ნაკვეთისა და მისი მესაკუთრეების დადგენის შემდეგ, განახორციელა დანარჩენი კვლევები: აღწერა, სოციო-ეკონომიკური კვლევა, დემარკაცია და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების ინვენტარიზაცია და შეფასება. დამატებით, დეტალური ტიტულის (საკუთრების უფლების) კვლევა განხორციელდა მიწაზე საკუთრების უფლების დადგენისა და კომპენსაციაზე

უფლებამოსილი პირების დადგენის მიზნით; ადრეულ ეტაპზე დადგინდა გარდაცვლილი და ადგილზე არმყოფი მესაკუთრეების ვინაობა.

29. პარალელურად, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მოსახლეობის ცხოვრების წესისა და სოციალური პირობების შესწავლის მიზნით, ჩატარდა თვისებრივი გამოკვლევა. გამოკვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და მიგნებები გამოყენებულ იქნა სოციო-ეკონომიკური გამოკვლევის კითხვარის მოსამზადებლად. ხარისხობრივი მონაცემების შეგროვების მიზნით, გამოყენებული იყო არასტრუქტურირებული და ნახევრად-სტრუქტურირებული კითხვარები. ინფორმაცია შეგროვდა, როგორც ჩაღრმავებული ინდივიდუალური ინტერვიუების,
30. ნახევრად-სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით, რომელიც მოიცავდა რამდენიმე ღია შეკითხვას, შეგროვილი მონაცემების საშუალებით მოპოვებულ იქნა ინფორმაცია პროექტის ზემოქმედების არეალში არსებული მოსახლეობის ცხოვრების პირობების, კულტურული და სოციალური საკითხების, შემოსავლებისა და ხელფასების შესახებ. აგრეთვე, გაერკვა უძრავი ქონებისა და სასაქონლო ბაზრებზე არსებულ ზოგად მიმართულებებში და მიმდინარე ფასებში. ხოლო ხარისხობრივი კვლევის შედეგების საფუძველზე, გაირკვა პროექტის ზემოქმედების არეალში არსებული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, რამაც გაუადვილა რაოდენობრივი კვლევის დაგეგმვა და განხორციელება.
31. აღწერა და სოციო-ეკონომიკური კვლევა მიმდინარეობდა 2019 წლის 5-დან 30 იანვრის ჩათვლით. აღწერის მსგავსად, სოციო-ეკონომიკური კვლევის მიზანი იყო პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა შინამეურნის გამოკითხვა. ინტერვიუს დროს დაცული იყო კონფიდენციალურობის პოლიტიკა, რაც პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს ინტერვიუს პროცესში ინფორმაციის გაზიარებისას კომფორტულ გარემოს უქმნიდა.

LARP-ის მომზადების დროს განხორციელებული ტიტულის კვლევა

32. LARP-ის მომზადების დროს, ტიტულის კვლევის შედეგად დადგინდა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ფართობებთან მიმართებაში განსახორციელებელი სამართლებრივი ქმედებები, კერძოდ:

რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები: პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთებიდან 6 ერთეული რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2017 წელს, მათი კონფიგურაცია და ფართობი შეესაბამება დემარკაციის დროს ჩატარებული სამუშაოების მონაცემებს, შესაბამისად არ საჭიროებს ცვლილების განხორციელებას.

რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილება: პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთებიდან 1 ერთეული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულია 2017 წელს, მაგრამ ადგილზე ჩატარებული სადემარკაციო სამუშაოების შემდგომ გაირკვა, რომ მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი კონფიგურაცია განსხვავდება რეგისტრირებულისგან, შესაბამისად განსახორციელებელია ფართობის უცვლელად კონფიგურაციის ცვლილების პროცედურა. შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" დაეხმარება ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ შინამეურნეს აღნიშნული მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის შეცვლის პროცესში (მიაწვდის მას შესაბამის საკადასტრო აზომვით/აგეგმვით ნახაზს და გაუწევს შესაბამის კონსულტაციას)

მართლმშომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებიც საჭიროებს პირველად რეგისტრაციას: პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთებიდან 1 ერთეული სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში განაწილების მონაცემების მიხედვით წარმოადგენს მართლმშომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ფართობს, რომელიც საჭიროებს პირველადი რეგისტრაციის პროცედურის განხორციელებას. შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" დაეხმარება ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ შინამეურნეს აღნიშნული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის პროცესში (მიაწვდის მას შესაბამის საკადასტრო აზომვით/აგეგმვით ნახაზს და გაუწევს შესაბამის კონსულტაციას).

ლეგალიზებადი მიწი ნაკვეთები: პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთებიდან 3 ერთეული წარმოადგენს 2012 წელს რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, რომელთა რეგისტრაციაც შემდგომში გაუქმდა/გაბათილდა, შესაბამისად საჭიროა აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე ლეგალიზების პროცესის დაწყება. შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" დაეხმარება ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ შინამეურნეებს აღნიშნული მიწის ნაკვეთების ლეგალიზების პროცესში (მიაწვდის მათ შესაბამის საკადასტრო აზომვით/აგეგმვით ნახაზებს და გაუწევს შესაბამის კონსულტაციას).

თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთები: პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთებიდან 1 ერთეული წარმოადგენს თვითნებურად დაკავებულ მიწის ფართობს, რომელიც სახელმწიფოსგან შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ გადმოეცემა უსასყიდლოდ, თუმცა აზიის განვითარების ბანკის რეგულაციების გათვალისწინებით მიწის ნაკვეთის მფლობელი მიიღებს დაკარგული შემოსავლების კომპენსაციას.

2012 წელს რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები: პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთებიდან 3 ერთეული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში

რეგისტრირებულია 2012 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელებული რეგისტრაციები გაუქმდა/გაბათილდა შემდგომ წლებში, შესაბამისად სამი შინამეურნის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები საჭიროებს ფართობისა და კონფიგურაციის უცვლელად რეგისტრაციის გაცოცხლების პროცედურის განხორციელებას. შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" დაეხმარება ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ შინამეურნეებს აღნიშნული მიწის ნაკვეთების ფართობისა და კონფიგურაციის უცვლელად რეგისტრაციის გაცოცხლების პროცედურაში (მიაწვდის მათ შესაბამის საკადასტრო აზომვით/აგეგმვით ნახაზებს და გაუწევს შესაბამის კონსულტაციას)

33. კომპანიის სააზომველო ჯგუფმა (UWSCG), კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად, მოახდინა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთების დემარკაცია, აზომვა და საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადება. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს ახალი საკადასტრო აზომვითი ნახაზები უსასყიდლოდ გადაეცემათ, ამასთან გაეწევათ სრული ინსტრუქტაჟი საჯარო რეესტრში წარსადგენი დოკუმენტაციისა და სარეგისტრაციო მონაცემების განახლების მიზნით განაცხადის შეტანის წესების შესახებ.
34. ამრიგად, ტიტულის კვლევაში გამოავლინა ყველა პროცედურული საკითხი და შესაძლებელი გახდა საჭირო იურიდიული ქმედებებისა და ბიუროკრატიული საფეხურების დროული განსაზღვრა, რომელთა დასრულება აუცილებელია LARP-ის განხორციელების დაწყებამდე და რაც, თავისთავად, შესაძლებელს გახდის დროში გაწელილი იურიდიული პროცედურების წარმატებით დასრულებას.
35. დემარკაციისა და მიწის ნაკვეთების აზომვის პროცესში გამოვლინდა ერთი თვითნებურად დაკკავებულ მიწაზე მოსარგებლე, დანარჩენი ცამეტი (14) მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია სისტემური ან სპორადული რეგისტრაციის წესით. თუმცა, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთების შესყიდვების დაწყებამდე, მათი თითქმის 90% მოითხოვს განახლებულ რეგისტრაციას კანონით დადგენილი წესის თანახმად.

პროექტის ზემოქმედების მასშტაბები

36. შეთავაზებული პროექტის დიზაინის მიხედვით, პროექტის სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელი ცურტავში მოსახლების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებულ ტერიტორიაზე და მოითხოვს 11 შინამეურნის საკუთრებაში არსებული თოთხმეტი (14) ბუნებრივად მორწყვადი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ნაწილის შესყიდვას (სამუდამო გამოსყიდვას) და ერთი (1)

შინამეურნის არამართლზომიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის მთლიანად ათვისებას.

37. აღსანიშნავია რომ, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ, არცერთ მიწის ნაკვეთზე არ დგას საცხოვრებელი სახლი. შესაბამისად, პროექტის ზემოქმედების შედეგად შინამეურნეებს არ მოუწევთ ფიზიკური განსახლება, ანუ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა.
38. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა მიწის ნაკვეთი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა და მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის გამოიყენება და ძირითადად კარტოფილი მოყავთ.
39. პროექტის ზეგავლენა არ ვრცელდება მეტალის ღობეებზე ან აგურით ნაშენ კედლებზე. მიწის ნაკვეთები გაყოფილია მიწის ყრილით, რომელიც ასრულებს საზღვრის ზოლს. იხ. აბზაიც 13.
40. პროექტის სამშენებლო სამუშაოების შედეგად, პროექტის ზემოქმედება ძირითადად სეზონური მარცვლეულის მოსავალზე გავრცელდება, რამაც შესაძლოა გარკვეული შეფერხება შეუქმნას მიწის მესაკუთრეებს მიწის ნაკვეთის ნარჩენ ფართობზე სეზონური მოსავლის მოყვანის პროცესში. თუმცა გასხვისების დერეფანში მოეწყობა შიდა მისასვლელი გზა, რაც სამომავლოდ შინამეურნეებს გაუმარტივებს მათ საკუთრებაში დარჩენილი მიწის ნაკვეთების გამოყენებას.
41. გასხვისების დერეფანში არ ყვება მრავალწლიანი ნარგავები, შინამეურნეები მიწის ნაკვეთებს მხოლოდ ერთწლიანი კულტურების მოსაყვანად იყენებენ.
42. ქვემოთ მოცემული შემაჯამებელი ცხრილი ასახავს პროექტის დიზაინისა და LARP-ის მომზადების პროცესში განხორციელებული აღწერის, სოციო-ეკონომიკური და ტიტულის კვლევის, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების ინვენტარიზაციის შედეგად დადგენილი პროექტის ზემოქმედების მასშტაბებს.

ცხრილი 2 . წინამდებარე LARP-ის ზემოქმედების შემაჯამებელი მონაცემები

ზემოქმედებაში მოქცეული ერთეული	ერთეულის რაოდენობა
მიწის ნაკვეთი	15
შინამეურნე	12
ზემოქმედებაში მოქცეული პირების საერთო რაოდენობა	64

მოწყვლადი ოჯახები	1
მძაფრი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთები	12
მთლიანი მიწის შესყიდვა	0
მიწის ნაკვეთის ნაწილის შესყიდვა	14
სახელმწიფო მიწის ფართობის კაპიტალში შემოტანა	1
მიწის ნაკვეთი, ერთწლიანი კულტურებით	15

43. შემოთავაზებული პროექტით დადგენილი გასხვისების დერეფანის ზემოქმედების მიხედვით UWSCG-მ მიიღო LARP-ის მომზადების გადაწყვეტილება. პროექტის ზემოქმედების მასშტაბებისა და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებსა და თემზე პროექტის ზემოქმედების მასშტაბებისა და სიმძაფრის მიხედვით და აზიის განვითარების ბანკის 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულებების გათვალისწინებით⁴, მოცემულ პროექტს მიენიჭა „ბ“ კატეგორიის კლასიფიკაცია.

თავი 2. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების სოცო-ეკონომიკური პროფილი

44. **სოფელი ცურტავში** - მოსახლეობა 574 კომლისგან შედგება. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების უმრავლესობა სოფელ ცურტავში ცხოვრობს. მათ შორის, რამდენიმე ოჯახი ფლობს მიწის ნაკვეთს და საცხოვრებელ სახლს სოფელში. მიწის შესყიდვის თვალსაზრისით, მოცემული პროექტი სოფლის მოსახლეობის დაახლოებით 1.9 % -ზე მოახდენს ზეგავლენას.

სოფელ ნახიდურში - მოსახლეობა 1100 კომლისგან შედგება. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების უმრავლესობა სოფელ ცურტავში ცხოვრობს. მათ შორის, რამდენიმე ოჯახი ფლობს მიწის ნაკვეთს და საცხოვრებელ სახლს სოფელში. მიწის შესყიდვის თვალსაზრისით, მოცემული პროექტი სოფლის მოსახლეობის დაახლოებით 0.01% -ზე მოახდენს ზეგავლენას.

სოფელ ჭაპალაში - მოსახლეობა 370 კომლისგან შედგება. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების უმრავლესობა სოფელ ცურტავში ცხოვრობს. მათ შორის, რამდენიმე ოჯახები ფლობს მიწის ნაკვეთს და საცხოვრებელ სახლს სოფელში. მიწის შესყიდვის თვალსაზრისით, მოცემული პროექტი სოფლის მოსახლეობის დაახლოებით 0.2 % -ზე მოახდენს ზეგავლენას.

⁴ <http://www.adb.org>

პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეობის ასაკობრივი ჯგუფები

1. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების სოცო-ეკონომიკური პროფილი ეფუძნება კვლევების დროს ადგილზე შინამეურნეობის გამოკითხვის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შედეგებს. მთლიანობაში პროექტის ზემოქმედების ქვეშ ექცევა 12 შინამეურნე, სულ 64 პირი (37 კაცი და 27 ქალი). მათ შორის, 18 არასრულწლოვანია (12 ვაჟი და 6 გოგონა). საშუალოდ შინამეურნეობა ხუთიდან ექვს (5-6) წევრამდე ითვლის.
2. ქვემოთ მოცემულ ცხრილში პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირები დაყოფილია სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

ცხრილი 3: პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირები ასაკის და სქესის მიხედვით

პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირები	მამაკაცი		ქალი		სულ	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
სრულწლოვანი	25	67.6	21	77.8	46	71.9
არასრულწლოვანი (18 წლამდე)	12	32.4	6	22.2	18	28.1
სულ	37	100	27	100	64	100

საქმიანობა და შემოსავლის ძირითადი წყაროები

3. ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მისდევს სოფლის მეურნეობას და მესაქონლეობას. მიწაზე ძირითადად, კარტოფილი, წიწაკა, ბადრიჯანი და სიმინდი მოჰყავთ. სიმინდის ღეროებს კი მსხვილფეხა საქონლის საკვებად იყენებენ.
4. ზოგიერთი შინამეურნე ფერმერულ მეურნეობას მიდევს, რაც ადგილობრივ კონტექსტში გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო მიწის დამუშავებას და ერთწლიანი კულტურების მოყვანას შინაური საქონლის გამოკვების მიზნით. ქალები, ისევე როგორც მამაკაცები, უვლიან შინაურ საქონელს და ამუშავებენ მიწას. თითქმის ყველა შინამეურნეს ჰყავს მსხვილფეხა პირუტყვი და შინაური ფრინველი. საქონელს ძირითადად მამაკაცები მწყემსავენ მორიგეობით. საქონლის გამოსაკვებად შინამეურნეები აგროვებენ ბალახს. ზამთრისთვის თივას იმარაგებენ. ოჯახში მორჩენილ სადილსაც ხშირად იყენებენ საქონლის საკვებად.

5. აღსანიშნავია, რომ პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ პირებს გაუჭირდათ სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის დასახელება, მაგრამ აღნიშნეს, რომ მიღებული მოსავალი ძირითადად პირადი მოხმარებისთვის გამოიყენება; ფულადი შემოსავლის დათვლა მათ უფრო გაუადვილდათ. მათ დაითვალეს თვითურად მიღებული ხელფასი, პენსია და საკვებზე, კომუნალურ გადასახადებზე, კომუნიკაციებზე და ჯანდაცვაზე დახარჯული თანხის სავარაუდო საშუალო ოდენობა.
6. საბოლოოდ, მსხვილფეხა საქონელი მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი საარსებო საშუალება და დამატებითი ფულადი სახსრების შემოსავლის წყაროა.
7. ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეების შემოსავლის ძირითადი წყაროს შესახებ ინფორმაცია ეფუძნება აღწერისა და სოციო-ეკონომიკური კვლევის დროს ადგილზე მყოფი შინამეურნეების 100% -ის გამოკითხვისას მიღებულ მონაცემებს.

ცხრილი 4: პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირები სქესისა და დასაქმების მიხედვით

პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების ძირითადი დანახარჯები

საქმიანობა	მამაკაცი		ქალი		სულ	
	პირების რაოდენობა	%	პირების რაოდენობა	%	პირების რაოდენობა	%
ფერმერი	12	32	0	0	12	19
დიასახლისი	0	0	12	44	12	19
პენსიონერი	6	16	5	19	11	17
საჯარო მოხელე	3	8	1	4	4	6
უმუშევარი	1	3	4	15	5	8
მოსწავლე/სტუდენტი	10	27	4	15	14	22
ბიზნესი/თვით-დასაქმებული	0	0	0	0	0	0
დაქირავებული თანამშრომელი	5	14	1	4	6	9

სსაზღვარგარეთ	0	0	0	0	0	0
/სხვა რეგიონში დასაქმებული						
სულ	37	100	27	100	64	100

8. შინამეურნეების ხარჯების დიდი წილი ტანსაცმლის, ჯანდაცვის, საკვების და ყოველდღიური მოხმარების საგნების შეძენაზე, ხვნა-თესვასა და საქონლის შენახვაზე მოდის. გარდა ამისა, ხშირია სწრაფი სესხების დასაფარად გადასახდელი საპროცენტო განაკვეთი.

ცხრილი 5: პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეების საშუალო წლიური ხარჯები პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით

ხარჯის კატეგორია	ხარჯის პროცენტული მაჩვენებელი
საკვები	48.5
ჯანდაცვა	1
მანქანის შენახვა	5
კომუნალურები	12
ტანსაცმელი	4
ბანკის სესხი	2
ფერმერობა/მესაქონლეობა	1
სახლის შეკეთება	0
ტრანსპორტი	0.2
განათლება	2
კომუნიკაციები	2
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა	11
სიგარეტი/ალკოჰოლი	10
საყოფაცხოვრებო საგნები	1
ინტერნეტი	0.3
ბიზნესის წარმოების ხარჯი	0
მოგზაურობა/დასვენება	0
სულ	100

პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების ქონება

9. პროექტისგან ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირები უმეტესად 60-80-იან წლებში ქვით აშენებულ სახლებში ცხოვრობენ. სახლების უმრავლესობა ორ სართულიანია, 3-4 საძინებლით და სამზარეულოთი, საწყობი და მისაღები ოთახი განლაგებულია პირველ სართულზე. გარდა ამისა, ყველა შინამეურნეს ეზოში დამატებით აქვს მოწყობილი დამხმარე სათავსო, საზაფხულო სამზარეულო, ბოსელი და სან.კვანძი.
10. ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი საკარმიდამო ნაკვეთების გარდა კიდევ რამდენიმე მიწის ნაკვეთს ფლობს, რომლებსაც ბოსტნის დანიშნულებით იყენებენ (მოჰყავთ კარტოფილი, კომბოსტო, სტაფილო, ნიორი, ხახვი, ლობიო და ა.შ.). პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეების დიდი ნაწილი დამატებით ფლობს დაახლოებით 1500-2500 კვ.მ. ფართის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს, რომლებიც მათ უსასყიდლოდ მიიღეს ხელისუფლებისაგან, ქვეყანაში განხორციელებული მიწის რეფორმის ფარგლებში.
45. შინამეურნეების ქონებრივი მდგომარეობა გარკვეულწილად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ოჯახში ყველას აქვს ფერადი ტელევიზორი და სატელიტური ანტენა. ბევრს ოჯახში ერთზე მეტი მობილური ტელეფონი აქვს. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეების 77 % აქვს სარეცხი მანქანა. 12 ოჯახიდან 9 ჰყავს ავტომობილი. ინტერნეტი ხელმისაწვდომია მხოლოდ 1 შინამეურნისათვის. სან.კვანძი თითქმის ყველას საცხოვრებელი სახლის გარეთ, ეზოში აქვს მოწყობილი. მხოლოდ ერთ ოჯახს აქვს სახლში მოწყობილი სან.კვანძი. შინამეურნეების უმეტესობა წყალს გაზის ან ელექტროენერგიის საშუალებით იღებს. ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია ყველა შინამეურნეს მიეწოდება.

ცხრილი 6: პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეების ქონება და ცვეთადი აქტივები

ნივთი	შინამეურნეების რაოდენობა	%
ფერადი ტელევიზორი	12	100.00
მობილური ტელეფონი	12	100.00
სტაციონარული ტელეფონი	0	0.00
პერს.კომპ./ნოუტბუქი	0	0.00
ინტერნეტი	1	0.1
საკუთარი ჭა	0	0.00
გაზის გამათბობელი (მოქმედი)	10	83.3

ელექტრო გამათბობელი	3	30.7
შემის ღუმელი	11	84.6
სარეცხი მანქანა	9	77
მაცივარი	12	100.00
მოტოციკლი	0	0.00
ავტომობილი	9	77
მინი ტრაქტორი	0	0.00
მინი ავტობუსი	0	0.00
სულ შინამეურნეები	12	100

განათლება

46. მოსახლეობის 100 % წერა-კითხვის მცოდნეა. ყველა სრულწლოვანს (25 კაცი და 21 ქალი) დამთავრებული აქვს მხოლოდ საშუალო სკოლა, დანარჩენი 18 (12 ბიჭი და 6 გოგო) სკოლის მოსწავლეა.

ცხრილი 7: პროექტის ზემოქმედებაში მოცეული პირების განათლების დონე

განათლება	მამაკაცი		ქალი		სულ	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
დაწყებითი	12	18.7	6	9.3	18	28.2
საშუალო	25	39	21	32.8	46	71.8
ტექნიკური	0	0.00	0	0.00	0	0.00
უმაღლესი	0	0.00	0	0.00	0.00	0.00
სულ	37	57	27	43	64	100

მოწყვლადობა

47. აღწერისა და სოციო-ეკონომიკური კვლევის შედეგად სულ გამოვლინდა ერთი (1) მოწყვლადი პირი, რომელიც არის სიღარიბის ზღვარს მიღმა და იღებს სახელმწიფო შემწეობას. მთლიანობაში პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ ერთ (1) შინამეურნეობას მიენიჭა მოწყვლადობის კვალიფიკაცია მათი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით.

ცხრილი 8: მოწყვლადი ჯგუფები

ოჯახი, რომელსაც უძღვება ქალი	სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახი	ზემოქმედების ქვეშ მყოფი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი	მოწყვლადობის ინდექსი
	1		1

ინფრასტრუქტურა

11. ქალაქ ბოლნისში მდებარეობს ახლად აშენებული, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი და მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტებული მრავალფუნქციური სამედიცინო ცენტრი. რაიონულ ცენტრში ფუნქციონირებს რამდენიმე ბანკი, დამონტაჟებულია ბანკომატები და სწრაფი გადახდის აპარატები. აგრარული ბაზარი, რამდენიმე რესტორანი, აფთიაქები, პატარა სუპერმარკეტები და სხვა სავაჭრო ობიექტები თავმოყრილია ბოლნისის ცენტრში.
12. **სოფელ ცურტავში** არის საშუალო სკოლა (12 კლასი), სოფლის გამგეობა, რამდენიმე მაღაზია და პოლიკლინიკა. სოფელი ცურტავში მოსახლეობას 24 საათიან რეჟიმში მიეწოდება ბუნებრივი აირი და ელექტრო ენერგია, მაგრამ ზამთარში სახლის გასათბობად და კერძის მოსამზადებლად უმეტესად შეშის ღუმელს იყენებენ კომუნალური გადასახადების შემცირების მიზნით.
13. **სოფლები ჭაპალა და ნახიდურ ერთ გამგეობაში შედიან.** სოფლებში არის საშუალო სკოლა (12 კლასი), სოფლის გამგეობა, კულტურის სახლი რამდენიმე მაღაზია და პოლიკლინიკა. სოფლებში მოსახლეობას 24 საათიან რეჟიმში მიეწოდება ბუნებრივი აირი და ელექტრო ენერგია, მაგრამ ზამთარში სახლის გასათბობად და კერძის მოსამზადებლად უმეტესად შეშის ღუმელს იყენებენ კომუნალური გადასახადების შემცირების მიზნით.

ქალები პროექტის კონტექსტში

14. ქალების ძირითადი ნაწილი საოჯახო საქმით არის დაკავებული; უვლის ეზო-კარს, საქონელს და ფრინველს და უძღვება ძირითად საოჯახო საქმეებს. ქალები ჩართულები არიან საოჯახო საკითხების მართვაში და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სოციო-ეკონომიკური გამოკვლევაში ძირითადად ოჯახის წევრებიდან მამრობითი სქესის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას.
15. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეების უფროსი უმეტეს შემთხვევაში კაცია. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი მიწის ნაკვეთების საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტები კომლის უფროსზეა გაცემული. თუმცა, მიწის ნაკვეთების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის პროცესში ოჯახის ყველა წევრი, მშობლების,

მეუღლეების და 2006 წლამდე დაბადებული შვილების ჩათვლით, თანამესაკუთრებად იწერებიან.

16. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი შინამეურნეებიდან არცერთი არ არის მარტოხელა ქალის მიერ მართული ოჯახი.

პროექტის ზემოქმედება უმცირესობებზე

17. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა პირი საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის (აზერბაიჯანელი) წარმომადგენელია, რომელთა ცხოვრების დონე გათანაბრებულია ქართველი მოსახლეობის ცხოვრების პირობებთან. ისინი, როგორც მათი წინაპრების რამოდენიმე თაობა, დაიბადნენ საქართველოში და არიან საქართველოს მოქალაქეები. ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები აზერბაიჯანელები იქ მცხოვრები მოსახლეობის 63,38 % შეადგენენ.
18. საინვესტიციო პროგრამის არეალი არ მოიცავს ისეთ თემს ან თემთა ჯგუფს, რომელიც ADB-ს (SPS 2009) დეფინიციის შესაბამისად შესაძლოა კლასიფიცირდეს აბორიგენ მოსახლეობად. შესაბამისად, პროექტს აბორიგენ მოსახლეობაზე ზემოქმედების კუთხით მიენიჭა კლასიფიკაცია C.
19. მშენებლობის ეტაპზე პროექტში გათვალისწინებულია სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, HIV/AIDS და სექსუალური გზით გადამდები სხვა დაავადებების, აგრეთვე ნარკოტიკებისა და ტრეფიკინგის შესაძლო რისკების სამართავად. ეს ღონისძიებები მოიცავს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და უნდა განახორციელოს მშენებელმა კონტრაქტორმა და/ან ზედამხედველობის კონსულტანტმა, საკონტრაქტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

თავი 3. კომპენსაციის პირობები

კომპენსაციის პოლიტიკის მიზნები

20. განსახლების ღონისძიებების განხორციელება დაკავშირებულია პროექტის საინვესტიციო კომპონენტის განხორციელებასთან, რათა ადგილმონაცვლეობა ან წვდომის შეზღუდვა არ დადგეს განსახლებისათვის საჭირო ღონისძიებების დასრულებამდე.
21. აზიის განვითარების ბანკის 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულებისა და წინამდებარე LARP-ის თანახმად, შესაბამისი კვლევების დროს გამოვლენილი პროექტის

ზემოქმედებები სათანადოდ უნდა შეფასდეს, რაც გულისხმობს იმას, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა პირი უზრუნველყოფილი იქნება კომპენსაციით. მიწისა და დაკავშირებული აქტივების ათვისება მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც კომპენსაცია გაიცემა და სადაც საჭიროა ადგილმონაცვლე პირები უზრუნველყოფილნი იქნებიან განსახლების ადგილებითა და ადგილმონაცვლეობის ხარჯების ანაზღაურებით.

კომპენსაციის მიღების პირობები და საბოლოო ვადა

22. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეებისათვის კომპენსაციების გაცემის პირობები რეგულირდება **კომპენსაციის მიმღებთა დადგენის საბოლოო თარიღით**. მოცემული პროექტის ფარგლებში ეს არის **2019 წლის 18 იანვარი**. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებისათვის ცნობილია ამ თარიღის არსი და მნიშვნელობა. მათთვის ცნობილია, რომ ამ დღეს დასრულდა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების აღწერა და სოციო-ეკონომიკური კვლევა და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთების დემარკაცია, აზომვა და ინვენტარიზაცია.
23. ნებისმიერი პირი, რომელიც 2019 წლის 18 იანვრის შემდეგ, შეეცდება პროექტის გასხვისების დერეფანში რაიმე ტერიტორიის დაკავებას, **ჩაითვლება უკანონოდ შეჭრილად** და არ მიიღებს ფულად კომპენსაციას პროექტის გასხვისების კორიდორში გაწეული დანახარჯისათვის. გასხვისვის დერეფანში ასეთი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, ეს პირები სამი თვით ადრე მიიღებენ წინასწარ შეტყობილენას-გაფრთხილებას, პროექტის განხორციელების დაწყებამდე გაათავსუფლონ ზემოქმედების არეალში დაკავებული ტერიტორია და მოახდინონ შენობის დემონტაჟი. უკანონოდ შეჭრილ პირის არ დაეკისრება რაიმე ჯარიმა ან სანქცია. არც უკანონო ნაგებობის კონფისკაცია მოხდება;
24. LARP-ი განსაზღვრავს პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეების კომპენსაციის მიღებისა და პროექტის ზემოქმედებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის პირობებს. კერძოდ:
 - ა. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ნაწილის დაკარგვა
 - ბ. არსებული სეზონური კულტურების დაკარგვით გამოწვეული შემოსავლის დაკარგვა
25. მიწის დაკარგვის ანაზღაურება მოხდება სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით, არსებული საბაზრო ფასების მიხედვით, როგორც ეს განსაზღვრულია ლიცენზირებული შემფასებლის მიერ სპეციალურად ამ პროექტისათვის მომზადებულ შეფასების ანგარიშში.
26. კომპენსაციის მიღების დასაშვებობის კრიტერიუმის მიხედვით კომპენსაციას მიიღებენ შემდეგ სამ ჯგუფში შემავალი პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეები, რომლებსაც:

ა. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ მიწის ნაკვეთზე გააჩნიათ კანონიერი საკუთრების უფლება ან არიან მართლზომიერი მფლობელები;

ბ. მართლზომიერი მფლობელები, ანუ პირები, რომლებსაც აღწერის და სოციო-ეკონომიკური კვლევის დროს არ გააჩნდათ დოკუმენტურად დადასტურებული უფლება დაკავებული მიწის ნაკვეთის კანონიერი ფლობის თაობაზე, მაგრამ გააჩნიათ იურიდიული საფუძველი მოითხოვონ საკუთრების უფლება ამ მიწის ნაკვეთზე ან აქტივზე, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი მოთხოვნა აღიარებულია ან ექვემდებარება აღიარებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად;

გ. არამართლზომიერი მფლობელები, ანუ პირები, რომლებსაც არ გააჩნიათ რაიმე იურიდიულად აღიარებადი საფუძველი ან უფლება მოითხოვონ მათ მიერ დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლება (მაგ. მიწათმოსარგებლები რეგისტრირებული სერთიფიკატის/საკუთრების უფლების გარეშე ან უკანონოდ შეჭრილები), და რომლებიც უფლებამოსილნი არიან მიიღონ დაკარგული შემოსავლის და აქტივების კომპენსაცია, მაგრამ არ ეკუთვნით კომპენსაცია მიწაზე⁵.

27. პროექტის მიზნებისათვის მიწის შეძენის პროცესში, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ის პირები, რომლებსაც გააჩნიათ უფლების დამდგენი სარეგისტრაციო დოკუმენტი ან არ ფლობენ ამგვარ დოკუმენტს, მაგრამ აქვთ ამგვარი სერთიფიკატის მოთხოვნის კანონიერი უფლება, მიიღებენ ტექნიკურ დახმარებას საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესში და გასხვისებული მიწის სანაცვლოდ მიიღებენ სრული ჩანაცვლების მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ კომპენსაციას.

28. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირები, რომლებიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ან რაიმე რეგულაციების მიხედვით არ არიან უფლებამოსილნი მოახდინონ საკუთრების უფლების რეგისტრაცია არ მიიღებენ კომპენსაციას მიწაზე, თუმცა მიიღებენ კომპენსაციას მიწაზე დამაგრებული აქტივებისათვის და სხვა სახის დახმარებას, როგორც ეს აღწერილია წინამდებარე LARP-ში.

⁵ აზიის განითავრების ბანკის 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულებების მიხედვით, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა შინამეურნე, რომელიც მესამე კატეგორიაში ხვდება, დაკარგული აქტივებისა და შემოსავლების კომპენსაციის გარდა დამატებით სარეაბილიტაციო ღონისძიების სახით მიიღებს ერთჯერად შემწეობას, რაც მათ დაეხმარება საარსებო წყაროს თუნდაც პროექტის დაწყებამდე არსებულ დონეზე შენარჩუნებაში.

29. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ თითოეულ მიწის ნაკვეთზე პროექტის ზემოქმედების მასშტაბის მიხედვით ყველა (12) შინამეურნე მძაფრი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული 15 მიწის ნაკვეთის მესაკუთრე/მოსარგებლეა. კერძოდ, მიწის ნაწილობრივი შესყიდვის შემთხვევაში პროექტის ზემოქმედება აღემატება 10 %-ს, ხოლო მთლიანი მიწის ნაკვეთის შეძენისას, ზემოქმედება თავისთავად 100 %-ია.
30. აზიის განვითარების ბანკის 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულებების თანახმად წინამდებარე LARP-ი მოწყვლადი ჯგუფებისა და მძაფრი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეებისათვის განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის გამოხატვას ითვალისწინებს.
31. ქვემოთ მოცემული ცხრილი N9 წარმოადენს პროექტის ფარგლებში დადგენილი მოსალოდნელი ზიანის კომპენსაციის განხორციელების მატრიცას.

კომპენსაციის პირობები და შემარბილებელი ღონისძიებები

32. აზიის განვითარების ბანკის 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულებებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კომპენსაციის პირობები განსაზღვრულია სპეციალურად ამ პროექტისათვის და მოიცავს არსებულ საბაზრო ფასებზე დაყრდნობით სრული ჩანაცვლებითი ღირებულების მეთოდით გაანგარიშებულ ფულად კომპენსაციას პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ იმ პირებზე, რომლებიც პროექტის შედეგად დაკარგავენ მიწას, აქტივებს და შემოსავლებს.
33. ქვემოთ იხილეთ კომპენსაციის პირობების დეტალური ახსნა:
34. **სასოფლო-სამეურნეო მიწა:** სრული ჩანაცვლებითი ღირებულების მეთოდით დაანგარიშებული ფულადი კომპენსაციის ის ოდენობა, რაც საკმარისი იქნება პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთის მსგავსი სანაცვლო ნაკვეთის შესაძენად, მისი დანიშნულების, პროდუქტიულობის და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით (პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთთან სიახლოვეს). სრული ჩანაცვლებითი ღირებულების გაანგარიშების მეთოდი აგრეთვე მოიცავს ხარჯებს, რაც დასჭირდება ახალი მიწის ნაკვეთის მომზადებას რათა ახალი მიწის ნაკვეთი მიყვანილ იქნას ისეთივე მდგომარეობამდე როგორშიც პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთია. სახელმწიფო გადასახადებს და ტრანზაქციის რეგისტრაციის მოსაკრებლებს სრულად დაფარავს პროექტის აღმასრულებელი სააგენტო.
35. **„ოზლად დარჩენილი მიწა“:** მიწის ნაკვეთის ნაწილის შესყიდვის შემდეგ დარჩენილი ნაწილი, რომელიც კარგავს პირვანდელ დანიშნულებას და ხდება ეკონომიკურად

უსარგებლო. ასეთ შემთხვევაში მიწის მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს მთლიანი მიწის შესყიდვა და შესაბამისი ოდენობის ფულადი კომპენსაცია.

36. **ერთწლიანი კულტურები:** ერთწლიანი კულტურებისათვის ფულადი კომპენსაცია გაიცემა არსებული საბაზრო ფასების შესაბამისად იმ შემთხვევაშიც კი თუ პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირები მოასწრებენ მოსავლის აღებას. კომპენსაციას მიიღებს მიწის მესაკუთრე და ან მოსარგებლე.
37. **საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურა:** საერთო სარგებლობის აქტივების დაზიანების შემთხვევაში, მოხდება მათი სრული აღდგენა ან რეაბილიტაცია, რათა თემის წევრებმა გააგრძელონ აღნიშნული მიწის ნაკვეთებით პროექტამდე არსებული დანიშნულებით გამოყენება.
38. **კონტრაქტორის დროებითი ვალდებულებები:** სამშენებლო კონტრაქტის ფარგლებში კონტრაქტორი პასუხისმგებელია გასხვისების კორიდორის გარეთ ბანაკების, ოფისების, ნიადაგის ჰუმუსოვანი ფენის, მასალების დასაწყობებისა და გადამუშავებისათვის გამოყოფილი ადგილების და დროებითი მისასვლელი გზების მოწყობის მიზნით შერჩეულ ტერიტორიებზე მოიპოვოს დროებითი სარგებლობის უფლება და პროექტის დასრულების შემდეგ აღნიშნული ტერიტორიები აღადგინოს და პირვანდელ მდგომარეობაში მოიყვანოს. კონტრაქტორი პასუხისმგებელია საჭირო ტერიტორიის შერჩევის შემდეგ, შერჩეული ტერიტორიის დასაკავებლად უშუალოდ მიწის მესაკუთრესთან აწარმოოს მოლაპარაკება ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით. ამასთან, გადასახდელი თანხის განსაზღვრის დროს იხელმძღვანელოს წინამდებარე LARP-ით დამტკიცებული საკომპენსაციო განაკვეთებით. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი ვერ შესძლებს მიწის მესაკუთრესთან შეთანხმების მიღწევას, ვალდებული იქნება შეარჩიოს ალტერნატიული ტერიტორია და მოლაპარაკების გზით გააფორმოს ხელშეკრულება მიწის მესაკუთრესთან. არ დაიშვება კონტრაქტორის მიერ მშენებლობის მიზნით რაიმე მიწის ნაკვეთის თვითნებურად, მესაკუთრესთან შეთანხმების გარეშე დაკავება. კონტრაქტორთან გაფორმებული სამშენებლო კონტრაქტი მოიცავს პუნქტს, რომელიც კონტრაქტორს დააკისრებს შესაბამისი ღონისძიებების გატარების პასუხისმგებლობას, რათა მშენებლობის პროცესმა ხელი არ შეუშალოს გზებზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას. გარდა ამისა, კონტრაქტორი ვალდებული იქნება სამშენებლო კონტრაქტის მოქმედების პერიოდში მოიპოვოს შესაბამისი ორგანოს თანხმობა ტრანსპორტის გადაადგილების შეცვლა/მართვასთან დაკავშირებით და მოუაროს არსებულ და დროებითი სარგებლობის (შემოვლით) გზებს, სადაც პროექტის განხორციელების პროცესში სამშენებლო ტექნიკა იმოდრავებს.

დამატებითი სარეაბილიტაციო ღონისძიებები

39. LARP-ი ითვალისწინებს დამატებითი სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარებას მოწყვლადი და პროექტის მძაფრი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობისათვის.
40. **მოწყვლადობის ერთჯერადი შემწეობა:** დაკარგული მიწის და მოსავლისათვის დადგენილი კომპენსაციის გარდა მოწყვლადი შინამეურნეობისათვის გათვალისწინებულია დამატებითი სარეაბილიტაციო ღონისძიება; ერთჯერადი შემწეობა, რაც გულისხმობს ერთი მოწყვლადი შინამეურნისათვის დადგენილ ფულად კომპენსაციას; კერძოდ, ხუთ-სულიან ოჯახზე ოფიციალურად დადგენილი საარსებო მინიმუმი გამრავლებული 3 თვეზე. კომპენსაციის თანხა (1,084 ლარი მოწყვლად ოჯახზე) დათვლილია საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის - GEOSTAT - ოფიციალური ვებგვერდიდან⁶ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე. გარდა ამისა, მოწყვლადი შინამეურნეობის წევრებს მიენიჭება უპირატესობა პროექტთან დაკავშირებულ სამუშაოზე დასაქმების კუთხით.
41. **მძაფრი ზემოქმედების ერთჯერადი შემწეობა:** პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა შინამეურნისათვის, რომელიც კარგავს შემოსავლის მომტანი მიწის 10 %-ს და მეტს, დაკარგული მიწის და მოსავლისათვის დადგენილი კომპენსაციის გარდა გათვალისწინებულია დამატებითი სარეაბილიტაციო ღონისძიება; ეს არის ერთჯერადი შემწეობა, რაც გულისხმობს პროექტის მძაფრი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნისათვის დადგენილ ფულად კომპენსაციას; კერძოდ, ხუთ-სულიან ოჯახზე ოფიციალურად დადგენილი საარსებო მინიმუმი გამრავლებული 3 თვეზე. კომპენსაციის თანხა (1,084 ლარი მოწყვლად ოჯახზე) დათვლილია საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის - GEOSTAT - ოფიციალური ვებგვერდიდან⁷ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე. გარდა ამისა, მძაფრი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობის წევრებს მიენიჭება უპირატესობა პროექტთან დაკავშირებულ სამუშაოზე დასაქმების კუთხით.

სახელმწიფო გადასახადები და საბანკო მომსახურების მოსაკრებელი

42. აღნიშნული პროექტის ფარგლებში პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს/შინამეურნეებს არ დაეკისრებათ რაიმე სახელმწიფო გადასახადი ან ტრანზაქციის რეგისტრაციასთან დაკავშირებული მოსაკრებლები. ამ გადასახადებს სრულად დაფარავს UWSCG.

სადეპოზიტო /ესქროუ ანგარიშები

⁶ http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=178&lang=geo ხუთ-წევრიან შინამეურნეობაზე გამოყოფილია თვეში 361,2 ლარი; 361,2 ლარი * 3 თვეზე = 1083,6 ლარი, დამგვარებული 1084 ლარი/შინამეურნეზე.

43. ფულადი კომპენსაციისათვის გამოყოფილი თანხა დეპონირდება UWSCG-ს სპეციალურ ანგარიშზე იმ შემთხვევისათვის, თუ LARP-ის განხორციელების პროცესში საჭირო გახდება კომპენსაციის გადახდის შეჩერება რაიმე იურიდიული პროცედურის შესრულებამდე; კერძოდ, პროექტის ზემოქმედებაში მყოფი პირი არ იძებნება, არ არის ადგილზე ან გარდაცვლილია.

კომპენსაციის განხორციელების მატრიცა

44. ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია მოცემული პროექტის ფარგლებში შემოსავლებისა და აქტივების დაკარგვით გამოწვეული ზარალის კომპენსაციის დადამატებითი სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელების პირობები.

ცხრილი 9: კომპენსაციის განხორციელების მატრიცა

პროექტის ზემოქმედების ტიპი	სპეციფიკაცია	ზემოქმედებაში მოქცეული პირები	კომპენსაციის პირობები
მიწის (სასოფლო /არასასოფლო სამეურნეო) სამუდამო გასხვისება	ზემოქმედება ში მოქცეული ყველა პირი /შინამეურნე მიწის მესაკუთრე/კა ნონიერი მფლობელი ზემოქმედები ს სიმძაფრის მიუხედავად	ზემოქმედებაში მოქცეული ყველა პირი /შინამეურნე რეგისტრირებული /რეგისტრირებადი საკუთრების უფლებით	<p>ფულადი კომპენსაცია, არსებული საბაზრო ფასების მიხედვით დაანგარიშებული სრული ჩანაცვლებითი ღირებულება, რაც საკმარისია პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთის მსგავსი ნაკვეთის შესაძენად მისი ზომის, ადგილმდებარეობის, ნიადაგის პროდუქტიულობის /დანიშნულების გათვალისწინებით.</p> <p>სრული ჩანაცვლებითი ღირებულების გაანგარიშების მეთოდი, ზემოქმედებაში მოქცეული აქტივის ღირებულების გარდა, მოიცავს ხარჯებს რაც დასჭირდება ახალი მიწის ნაკვეთის იმ მდგომარეობაში</p>

პროექტის ზემოქმედების ტიპი	სპეციფიკაცია	ზემოქმედებაში მოქცეული პირები	კომპენსაციის პირობები
			<p>მოყვანას, როგორშიც იყო გასხვავებული ნაკვეთის პროექტის დაწყებამდე. შინამეურნეები არ გადაიხდიან გადასახადებს და მიწის დაყოფისა და ტრანზაქციის რეგისტრაციის მოსაკრებლებს.</p> <p>ტრანზაქციის რეგისტრაციის ხარჯებს და გადასახადებს დაფარავს აღმასრულებელი სააგენტო.</p>
		ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეები, რომელთაც არა აქვთ ლეგალიზებული უფლებები	<p>ისინი, ვისაც არა აქვთ ლეგალიზებული იურიდიული უფლება ან პრეტენზია იმ მიწაზე, რომელთაც ისინი იკავებენ (ანუ მიწით მოსარგებლეები რეგისტრირებული სერტიფიკატის გარეშე და არაოფიციალური მოსახლეები) უფლებამოსილები არიან მიიღონ კომპენსაცია შემოსავლისა და აქტივების დაკარგვისათვის, მაგრამ არა მიწის დაკარგვისათვის.</p>
	პროექტის ზემოქმედება ში მოქცეული ყველა შინამეურნე, რომელიც ფლობს ზედმეტ ⁸ მიწას	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა შინამეურნე, რომელიც იყენებს იმაზე მეტ მიწას ვიდრე ეკუთვნის საკუთრების უფლების დამადასტურებელ	<p>მითვისებულ (უკანონოდ დაკავებულ) მიწაზე ფულადი კომპენსაცია არ გაიცემა მიწის ლეგალიზების კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე.</p> <p>თუმცა, ერთწლიანი კულტურების მოსავლის ან სხვა აქტივის დაკარგვა ექვემდებარება ფულად კომპენსაციას</p>

⁸ ზედმეტი (ნამატი) მიწა ნიშნავს, როდესაც პირი სარგებლობს იმაზე მეტი მიწის ფართობით, ვიდრე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით აქვს მინიჭებული. რეგისტრაციის განახლებამდე, ასეთი შემთხვევები შესწავლისა და დამტკიცება/არ დამტკიცების მიზნით გადაეცემა მიწის ლეგალიზების ადგილობრივ კომისიას.

პროექტის ზემოქმედების ტიპი	სპეციფიკაცია	ზემოქმედებაში მოქცეული პირები	კომპენსაციის პირობები
		ლი დოკუმენტებით.	და მიწათმოსარგებლე სრულად მიიღებს დაკარგული წლიური მოსავლის სანაცვლო თანხას არსებული საბაზრო ფასების შესაბამისად.
„ობლად- დარჩენილი მიწა“	ნებისმიერი კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელიც პროექტის ზემოქმედები ს შედეგად დაკარგავს პირვანდელ ეკონომიკურ ღირებულებას და დანიშნულება ს.	ყველა შინამეურნე, რომლის მიწის ნაკვეთიც პროექტის ზემოქმედებად შესაძლოა „ობლად- დარჩენილ მიწად“ ჩაითვალოს.	პროექტის ზემოქმედების მიღმა დარჩენილი მიწის ნაკვეთის ეკონომიკური ღირებულების დაკარგვის დადასტურების შემთხვევაში, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირს შეუძლია ფულადი კომპენსაცია მთლიანი ნაკვეთის გასხვისების სანაცვლოდ მოითხოვოს. დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს UWSCG-ს საჩივრების განხილვის კომისიას ⁹ . კომისია ჩართვას ადგილობრივ ექსპერტს სოფლის მეურნეობის დარგში, რათა მან შეაფასოს მიწის ნაკვეთის ნარჩენი ნაწილის ეკონომიკური რენტაბელობა და სათანადო ანგარიში წარუდგინოს საჩივრების განხილვის კომისიას. კომისიის გადაწყვეტილება გადაეცემა დაინტერესებულ პირს. ფულადი კომპენსაციის გაანგარიშება მოხდება სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით არსებული საბაზრო

⁹ ასეთ შემთხვევაში, UWSCG და საჩივრების განხილვის კომისიას მოიწვევს ექსპერტს სოფლის მეურნეობის დარგში, რომელიც შეაფასებს მიწის ნაკვეთის ნარჩენი ნაწილის ეკონომიკურ რენტაბელობას. ზოგადად, ასეთ დროს ყურადღება ექცევა რიგ ფაქტორებს, მათ შორის ფართობს, მისადგომობას, კონფიგურაციას რელიეფს და ა.შ.

პროექტის ზემოქმედების ტიპი	სპეციფიკაცია	ზემოქმედებაში მოქცეული პირები	კომპენსაციის პირობები
			ფასების მიხედვით, ისე როგორც მიწის მესაკუთრის/კანონიერი მფლობელის მიერ მიწის სამუდამო გასხვისების შემთხვევაში.
	სასოფლო მიწის ნაკვეთის მეიჯარე	სასოფლო მიწის ნაკვეთის მეიჯარე/პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირი, რომელიც ამუშავებს მიწას წერილობითი ხელშეკრულებით ან მის გარეშე და მიღებული მოსავლის ნაწილით იხდის საიჯარო ქირას	სასოფლო მიწის ნაკვეთის მეიჯარე მიიღებს ფულად კომპენსაციას არსებული საბაზრო ფასისა და მისი წილი მოსავლის შესაბამისად.
ერთწლიანი კულტურებიდან მიღებული მოსავალი	სასოფლო- სამეურნეო მიწის ნაკვეთების მთლიანი ფართობი	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული სასოფლო- სამეურნეო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე/კანონი ერი მოსარგებლე (უნებართვოთ შეჭრილი პირების ჩათვლით)	წლიური მოსავლის საბაზრო ფასის ოდენობის ფულადი კომპენსაცია გაიცემა მიწის მესაკუთრეზე ან მეიჯარეზე მოსავლის განაწილების პირობებზე მხარეებს შორის არსებული (წერილობითი/ზეპირი) გარიგების პირობების შესაბამისად. ერთწლიანი კულტურებისათვის ფულადი კომპენსაცია გაიცემა იმ შემთხვევაშიც კი თუ პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირები სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოასწრებენ მოსავლის აღებას.

პროექტის ზემოქმედების ტიპი	სპეციფიკაცია	ზემოქმედებაში მოქცეული პირები	კომპენსაციის პირობები
საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურა	გზა, სკოლა, ჯანდაცვის ობიექტი, საირიგაციო, სასმელი წყლის, გაზის მიწები, და ა.შ.	ადგილობრივი მოსახლეობა	პროექტის განხორციელების პროცესში კონტრაქტორი უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურული ობიექტებით (გზები, ხიდები, სკოლები, საავადმყოფოები, წყალმომარაგების სისტემები და ა.შ.) შეუზღუდავ სარგებლობას და დაზიანების შემთხვევაში მათ დაუყოვნებელ აღდგენას.
მოწყვლადი ჯგუფები		სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, უნარშეზღუდული , ქვრივები, ოჯახის მარჩენალი ქალები	მიწის და მოსავლის კომპენსაციის გარდა, მოწყვლადი შინამეურნეები ერთჯერადი შემწეობის სახით მიიღებენ ფულად კომპენსაციას; კერძოდ, ხუთ-სულიან ოჯახზე ოფიციალურად დადგენილი საარსებო მინიმუმი გამრავლებული 3 თვეზე. კომპენსაციის თანხა (1,084 ლარი შინამეურნეზე) დათვლილია საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის - GEOSTAT - ოფიციალური ვებგვერდიდან ¹⁰ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე. გარდა ამისა, მოწყვლადი შენამეურნეების წევრებს მიენიჭებათ უპირატესობა პროექტთან დაკავშირებულ სამუშაოზე დასაქმების კუთხით.
მმაფრი ზემოქმედება	დამატებითი პირობა მმაფრი ზემოქმედები ს (შემოსავლის მომცემი მიწის/აქტვები	პირები, რომლებსაც პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთი აქვთ კერძო საკუთრებაში/	AHs მიწისა და მოსავლისათვის დადგენილი კომპენსაციის გარდა, დამატებით გაიცემა ერთჯერადი შემწეობა, რაც გულისხმობს პროექტის მმაფრი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნისათვის დადგენილ ფულად კომპენსაციას; კერძოდ, ხუთ-

¹⁰ http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=178&lang=geo

პროექტის ზემოქმედების ტიპი	სპეციფიკაცია	ზემოქმედებაში მოქცეული პირები	კომპენსაციის პირობები
	ს 10%-ზე მეტის გასხვისების შემთხვევაში.	კანონიერ სარგებლობაში ან უკანონოდ დაკავებული	სულიან ოჯახზე ოფიციალურად დადგენილი საარსებო მინიმუმი გამრავლებული 3 თვეზე. კომპენსაციის თანხა (1,084 ლარი შინამეურნე) დათვლილია საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის - GEOSTAT - ოფიციალური ვებგვერდიდან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე. გარდა ამისა, მძაფრი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შენამეურნეების წევრებს მიენიჭება უპირატესობა პროექტთან დაკავშირებულ სამუშაოზე დასაქმების კუთხით.
დროებითი ზემოქმედება	მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზის ჩაკეტვა/დაკა რგვა	მიწის მესაკუთრეები /მიწათმოსარგებლ ეები	სამშენებლო კომპანია უზრუნველყოფს მისასვლელი გზების მოწყობას.
	შემოსავლის დაკარგვა დროებითი მისასვლელი გზის არ არსებობის გამო ბიზნეს საქმიანობის შეფერხებით გამოწვეული ზარალი (შემოსავლის დაკარგვა)	ადგილობრივი ბიზნესები	სამშენებლო კომპანია უზრუნველყოფს მისასვლელი გზების მოწყობას.

პროექტის ზემოქმედების ტიპი	სპეციფიკაცია	ზემოქმედებაში მოქცეული პირები	კომპენსაციის პირობები
	შემოსავლის დროებითი დაკარგვა ბანაკებისათვ ის	მიწის მესაკუთრეები/ მოსარგებლეები	სამშენებლო კომპანია ითანამშრომლებს ადგილობრივ სახელმწიფო უწყებებთან და სამშენებლო ტექნიკისა და თანამშრომლებისათვის დროებითი ბანაკების მოწყობის დროს უპირატესობას მიაანიჭებს კერძო პირების მიერ აუთისებელ, სახელმწიფო მიწის ნაკვეთებს. მაგრამ თუ აღმოჩნდება, რომ დროებითი ბანაკების მოსაწყობად შერჩეულ მიწის ნაკვეთებს კერძო მესაკუთრე ან მოსარგებლე ჰყავს, საჭირო იქნება ზარალის შეფასება და შესაბამისი საკომპენსაციო თანხის განსაზღვრა წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი პირობების მიხედვით.
ნებისმიერი გაუთვალისწინე ბელი ზემოქმედება	საჭიროებისამ ებრ	ნებისმიერი პირი	საჭიროების მიხედვით, აზიის განვითარების ბანკის 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულებებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და დამტკიცებული LARF-ის და MFF-ის შესაბამისად.

თავი 4. სამართლებრივი ჩარჩო

საქართველოს კანონმდებლობა

45. ქვემოთ მოყვანილი კანონები და საკანონმდებლო აქტები არეგულირებენ საქართველოში კერძო საკუთრების უფლებას და საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე სახელმწიფო საკუთრების უფლების მოპოვებას საზოგადოებრივი საჭიროების მიზნით:

ა. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო

- ბ. საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო მიწებზე საკუთრების უფლების შესახებ, 1996 წლის 22 მარტი;
- გ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი;
- დ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 14 ნოემბერი;
- ე. საქართველოს კანონი ექსპროპრიაციის წესების შესახებ;
- ვ. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2005;
- ზ. საქართველოს შრომის კოდექსი, 2006 წლის 25 მაისი;
- თ. საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, 2007 წლის 8 მაისი;
- ი. საქართველოს კანონი საჯარო ჯანმრთელობის შესახებ, 2007 წლის 27 ივნისი;
- კ. საქართველოს კანონი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთების კერძო საკუთრების უფლებების აღიარების შესახებ, 2007 წლის 11 ივლისი;
- ლ. საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ, 2008 წლის 19 დეკემბერი;
- მ. საქართველოს კანონი სანოტარო საქმიანობის შესახებ, 2009 წლის 4 დეკემბერი;
- ნ. საქართველოს კანონი სახელმწიფო საკუთრების შესახებ, 2010 წლის 21 ივლისი;
- ო. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, 1994 წლის 28 ოქტომბერი

46. მთლიანობაში, ზემოთ ჩამოთვლილი კანონები და რიგი ნორმატიული აქტები ითვალისწინებს ადგილმონაცვლობის (განსახლების) ხარჯების ანაზღაურებას საბაზრო ღირებულებით. კანონმდებლობით განსაზღვრულია ზიანის ტიპები (რომელიც ექვემდებარება კომპენსაციას) და დადგენილია, რომ კომპენსაცია უნდა გაიცეს, როგორც მატერიალური აქტივებისათვის, ისე დაკარგული შემოსავლისათვის. კანონმდებლობის თანახმად, კონსულტაციებსა და შეტყობინებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების განსახლების პროექტის მომზადებისა და განხორციელების პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

47. არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, განსახლების გეგმის განხორციელების პროცესში გამოიყენება შემდეგი მექანიზმები:

- ა. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, გასხვების კორიდორში არსებული მიწისა და აქტივების გამოსყიდვა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებთან მოლაპარაკებისა და დადგენილი კომპენსაციის გადახდის გზით;
- ბ. მოლაპარაკების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში, ექსპროპრიაციის უფლების გამოყენება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე და დადგენილი კომპენსაციის გადახდის შემდეგ.

48. პროექტის ფარგლებში მიწის და აქტივების ექსპროპრიაცია მხოლოდ წარუმატებელი მოლაპარაკების შემთხვევაში განხორციელდება.
49. ექსპროპრიაციის პროცესი წარიმართება კანონით დადგენილი პროცედურების მიხედვით და განხორციელდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებისა და სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.
50. მინისტრის ბრძანება ადგენს საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევას და ექსპროპრიატორს ანიჭებს მიწის დაკავების უფლებას. სასამართლო ადგენს სახელმწიფო უწყებას, ან საჯარო /კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელსაც გადაეცემა ექსპროპრიაციის უფლება. სასამართლო გადაწყვეტილება აგრეთვე უნდა მოიცავდეს საექსპროპრიაციო ქონების /აქტივების დეტალურ ინვენტარიზაციას და დებულებას მიწის მფლობელებისათვის კომპენსაციის სახით გადასახდელი თანხის შესახებ.
51. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის დაკავება ვერ მოხდება ვიდრე, არ განხორციელდება შემდეგი ეტაპები:
- ა. შედგება შესაბამისი სასამართლო პროცესი;
 - ბ. სასამართლო აკრძალვის მოპოვების შემდეგ მოხდება სათანადო კომუნიკაცია პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებთან,
 - გ. საკომპენსაციო თანხა დეპონირდება შესაბამის ანგარიშზე¹¹.

აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულება ADB SPS 2009

52. არანებაყოფლობით განსახლებასთან დაკავშირებით ADB-ს უსაფრთხოების პოლიტიკის დებულება აღწერს ADB-ს საერთო მიზნებს უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით, ადგენს ADB-ს პოლიტიკის პრინციპებს და მათი შესრულების გზებს.
53. არანებაყოფლობითი განსახლების პოლიტიკის ძირითადი მიზანია:
- ა. შესაძლებლობის ფარგლებში თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე შეამციროს არანებაყოფლობითი განსახლება;

¹¹ ზაზინის ესკოროუ ანგარიში, UWSCG-ს პროექტის ანგარიში, ან პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირის საბანკო ანგარიში.

ბ. მინიმუმამდე შეამციროს არანებაყოფლობითი განსახლება პროექტის ალტერნატიული დიზაინის შერჩევის გზით;

გ. ხელი შეუწყოს პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს საარსებო პირობების გაუმჯობესებაში თუ არა, პროექტამდე არსებული დონის შენარჩუნებაში;

დ. ადგილმონაცვლე პირებსა და სხვა მოწყვლად ჯგუფებს ხელი შეუწყოს ცხოვრების დონის ამაღლებაში.

54. **ზემოქმედების არეალი და მოსალოდნელი შედეგები:** არანებაყოფლობითი განსახლება მოიცავს ფიზიკურ ადგილმონაცვლეობას (რელოკაცია, საკარმიდამო მიწის ან თავშესაფრის დაკარგვა) და ეკონომიკურ ადგილმონაცვლეობას (მიწის, აქტივების, ატივებთან ხელმისაწვდომობის, შემოსავლის წყაროს, ან საარსებო საშუალების დაკარგვას), რაც შედეგად მოყვება: 1. მიწის არანებაყოფლობით გასხვისებას; 2. მიწათსარგებლობაზე ან ოფიციალურად გამოყოფილ პარკებსა და დაცულ ტერიტორიებზე ხელმისაწვდომობის არანებაყოფლობით შეზღუდვას. პოლიტიკა ვრცელდება არანებაყოფლობითი შეზღუდვის ყველა ტიპზე, განურჩევლად ზემოქმედების მასშტაბისა; კერძოდ სრული ან ნაწილობრივი, და მუდმივი ან დროებითი.

55. *ADB-ს პოლიტიკის პრინციპები:*

1. პროექტის განხილვა ადრეულ ეტაპზე, არანებაყოფლობით განსახლებასთან დაკავშირებული წარსული, ახლანდელი და მომავალი ზემოქმედებისა და რისკების დადგენის მიზნით. განსახლების მასშტაბის დადგენა ადგილმონაცვლე პირების კვლევის და/ან აღწერის და გენდერული ანალიზის საშუალებით, კონკრეტულად განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედებისა და რისკების შეფასების მიზნით.
2. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებთან, მასპინძელ მოსახლეობასთან და დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შედეგზე ორიენტირებული კონსულტაციების ჩატარება. ყველა ადგილმონაცვლე პირის ინფორმირება მათი უფლებებისა და განსახლების შესაძლო ვარიანტების შესახებ. განსახლების პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მათი თანამონაწილეობის უზრუნველყოფა. სათანადო ყურადღების დათმობა მოწყვლადი ჯგუფების, განსაკუთრებით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პირების, უმიწაწყლოების, მოხუცების, ქალების და ბავშვების, ძირძველი, მკვიდრი მოსახლეობის და მიწაზე საკუთრების უფლების არ მქონე პირების მოთხოვნილებებზე, და მათი საჯარო განხილვებში ჩართულობის უზრუნველყოფა. ადგილმონაცვლე პირებისა და მასპინძელი მოსახლეობის სოციალური და კულტურული ინსტიტუტების მხარდაჭერა. იქ, სადაც არანებაყოფლობითი განსახლების ზემოქმედება და რისკები ზედმიწევნით რთული და სენსიტიურია

(მგრძნობიარეა), კომპენსაციისა და განსახლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას წინ უნდა უსწრებდეს სოციალური მომზადების ფაზა.

3. ყველა იძულებით გადაადგილებული პირისათვის საარსებო წყაროს გაუმჯობესება, ან მინიმუმ აღდგენა შემდეგი მექანიზმების გამოყენებით: ა. თუ მიწა წარმოადგენს საარსებო წყაროს, განსახლების პროცესში გამოიყენება მიწაზე დაფუძნებული განსახლების სტრატეგია; ხოლო როდესაც მიწის დაკარგვა არ განაპირობებს საარსებო წყაროს დაკარგვას (არ იწვევს სასიცოცხლო პირობების გაუარესებას) მისაღებია ფულადი კომპენსაცია ჩანაცვლებითი ღირებულებით; ბ. აქტივების (ქონების) დაუყოვნებელი ჩანაცვლება თანაბარი ან უფრო მაღალი ღირებულების აქტივით; გ. აქტივი (ქონება), რომლის აღდგენა შეუძლებელია, ექვემდებარება დაუყოვნებელ კომპენსაციას სრული აღდგენითი ღირებულებით; და შესაძლებლობის ფარგლებში, დამატებითი შემოსავლებისა და მომსახურების მიწოდება სარგებლის გაზიარების მეშვეობით.
4. პირებისთვის, რომლებიც ექვემდებარებიან ფიზიკურ ან ეკონომიკურ ადგილმონაცვლეობას, საჭირო დახმარების გაწევა, რაც მოიცავს: 1. თუ ადგილი აქვს რელოკაციას, რელოკაციის მიზნით გამოყოფილ მიწაზე საკუთრების უფლების უზრუნველყოფა, ახალ სამოსახლოზე უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნა, დასაქმებაზე ხელმისაწვდომობისა და მეწარმეობის შესაძლებლობების უზრუნველყოფით, ადგილმონაცვლე პირების ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაცია მასპინძელ მოსახლეობასთან, მასპინძელ მოსახლეობაზე პროექტის ბენეფიტების გავრცელება; 2. მხარდაჭერა გარდამავალ ეტაპზე და განვითარების ხელშეწყობა, როგორცაა მიწათმოწყობა, საკრედიტო საშუალებების, ტრეინინგები, ან დასაქმების შესაძლებლობები; და 3. საჭიროების შემთხვევაში სამოქალაქო ინფრასტრუქტურისა და თემისათვის საჭირო სერვისების უზრუნველყოფა.
5. ადგილმონაცვლე ღარიბი და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის, ქალების ჩათვლით, ცხოვრების დონის, თუნდაც მინიმალურ სტანდარტებამდე გაუმჯობესების ხელშეწყობა. სოფლად მცხოვრები ადგილმონაცვლე პირებისათვის მიწაზე და რესურსებზე კანონიერი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ხოლო ურბანულ ტერიტორიებზე შესაბამისი შემოსავლის წყაროს შექმნა და კანონიერი, ხელმისაწვდომი, ადექვატური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა.
6. მოლაპარაკების გზით მიწის შესყიდვის დროს საჭიროა გამჭვირვალე, თანამიმდევრული და თანაბარ პირობებზე დაფუძნებული პროცედურების შემუშავება, რათა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულმა პირებმა შეძლოს არსებული შემოსავლის/საარსებო პირობების შენარჩუნება ან გაუმჯობესება.
7. ადგილმონაცვლე პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ მიწაზე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი ან იურიდიულად აღიარებადი უფლება, ეკუთვნით დახმარება განსახლების პროცესში და კომპენსაცია ყველა დაკარგული აქტივისათვის, გარდა მიწისა.

8. განსახლების გეგმის მომზადება, რომელიც ასახავს ადგილმონაცვლე პირებისათვის განსაზღვრულ საკომპენსაციო პირობებს, შემოსავლისა და საარსებო წყაროს აღდგენის სტრატეგიას, ინსტიტუციონალურ მოწყობას, მონიტორინგისა და ანგარიშგების მოდელს, ბიუჯეტს და დროში გაწერილ განხორციელების გრაფიკს.
9. ზემოქმედებაში მოქცეული პირებისათვის მათ მშობლიურ ენაზე მომზადებული განსახლების გეგმის პროექტი (თანდართული განხორციელებული კონსულტაციების ამსახველი დოკუმენტაციით) განხილვისათვის ხელმისაწვდომ ადგილზე უნდა განთავსდეს. განსახლების გეგმის განახლებული საბოლოო ვარიანტი უნდა მიეწოდოს პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს და პროექტით დაინტერესებულ სხვა მხარეებს.
10. არანებაყოფლობითი განსახლება წარმოდგენილი და განხორციელებული უნდა იყოს, როგორც განვითარების პროექტი ან პროგრამა. პროექტის ხარჯებსა და ბენეფიტებში უნდა მოხდეს განსახლებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გათვალისწინება. იმ პროექტებისათვის, სადაც არანებაყოფლობითი განსახლებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედებაა მოსალოდნელი, არანებაყოფლობითი განსახლების კომპონენტი განიხილება, როგორ ცალკე ოპერაცია.
11. ფიზიკური და ეკონომიკური ადგილმონაცვლეობის დაწყებამდე უნდა დასრულდეს კომპენსაციების გადახდა და განსახლებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.
12. მონიტორინგის საშუალებით შეფასდეს განსახლების ზემოქმედება ადგილმონაცვლე პირების ცხოვრების დონეზე; საწყისი მონაცემებისა და მონიტორინგის შედეგების შეჯერების გზით განისაზღვროს, რამდენად იქნა მიღწეული განსახლების გეგმის მიზნები. უზრუნველყოფილ იქნას მინიტორინგის ანგარიშების ხელმისაწვდომობა.

მოცემული პროექტისათვის შემუშავებული LARP-ის პრინციპები

56. UWSCG-მ მოამზადა LARP-ი საქართველოს კანონმდებლობის და ADB-ს უსაფრთხოების პოლიტიკის დებულების შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტი გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო ინსტრუმენტი, რათა პროექტი განხორციელდეს არანებაყოფლობითი განსახლების ყველა ძირითადი პრინციპის დაცვით.
57. ეს პრინციპებია:
 - ა. მიწის შესყიდვა და არანებაყოფლობითი განსახლების თავიდან აცილება ან მინიმუმამდე დაყვანა პროექტის ალტერნატიული დიზაინების შერჩევის გზით;
 - ბ. იმ შემთხვევაში, თუ განსახლება გარდაუვალია, დროის გრაფიკით გაწერილი განსახლების გეგმის მომზადება და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეების ხელშეწყობა ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესების, ან თუნდაც პროექტამდე არსებულ დონეზე შენარჩუნების მიზნით;

- გ. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეებისათვის შედეგზე ორიენტირებული კონსულტაციების ჩატარება კომპენსაციის, განსახლებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარების და პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად;
- დ. მოწყვლადი და პროექტის მძაფრი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეებისათვის სპეციალური დახმარების უზრუნველყოფა;
- ე. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეები მიწაზე საკუთრების უფლების გარეშე (უკანონო მოსარგებლეები და შეჭრილები) მიიღებენ საარსებო შემწეობას და მიიღებენ ფულად კომპენსაციას დაკარგული აქტივებისათვის, მაგრამ არ მიიღებენ კომპენსაციას დაკარგული მიწის სანაცვლოდ;
- ვ. დაკანონდება, კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწა და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეები სრულად მიიღებენ მიწის კომპენსაციას;
- ზ. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეების შემოსავლის აღდგენა და რეაბილიტაცია;
- თ. განსახლების სამოქმედო გეგმა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეებისათვის გასაგებ ენაზე მომზადდება;
- ი. კომპენსაციების გადახდა და სარეაბილიტაციო ღონისძიებები დასრულდება კონტრაქტორის მიერ მიწის ფიზიკურად დაკავებამდე და ნებისმიერი მასშტაბის სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე;
- კ. შესაბამისი საჩივრების განხილვის მექანიზმის დანერგვა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ შინამეურნეებთან პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში, მათი დროული გადაჭრის მიზნით;
- ლ. შიდა მონიტორინგი და ანგარიშების ხელმისაწვდომობა.

58. კონტრაქტორი სამშენებლო ტერიტორიის იმ ნაწილზე რომელზეც ხდება ზემოქმედება შესვლის ნებართვას მხოლოდ მაშინ მიიღებს, როდესაც UWSCG ოფიციალურად წერილობით დაადასტურებს, რომ ადგილმონაცვლე პირებისათვის გადასახდელი თანხების განკარგვა დასრულებულია, ხოლო სარეაბილიტაციო ღონისძიებები განხორციელებული; გასხვისებული ტერიტორია კი დროულადაა გათავისუფლებული.

კანონმდებლობასა და ADB SPS 2009 დებულებებს შორის არსებული განსახვავება და დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებები

59. ცხრილში 10 მოცემული იურიდიული მატრიცა ასახავს საქართველოს კანონმდებლობასა და ADB-ის დებულებებს შორის არსებულ განსხვავებებს და მათი დაბალანსების მიზნით პროექტით გათვალისწინებულ შემარბილებელ ღონისძიებებს.

ცხრილი 10. იურიდიული მატრიცა

საქართველოს კანონმდებლობა	ADB SPS 2009	პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული შემარბილებელი ლონისძიებები
პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შენობის კომპენსაციას მხოლოდ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მიიღებს.	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შენობისათვის ფულად კომპენსაციას მიიღებს ყველა მესაკუთრე/მოსარგებლე, რეგისტრაციის სტატუსის მიუხედავად.	მოცემული პროექტის ფარგლებში შენობა ნაგებობაზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი
მხოლოდ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები მიიღებენ ფულად კომპენსაციას.	საკუთრების უფლების რეგისტრაციის არქონა არ ზღუდავს ზარალის კომპენსაციის მიღების უფლებას.	დაწყებულია მიწაზე საკუთრების უფლების დოკუმენტაციის განახლება; მიწის შესყიდვამდე პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირები უსასყიდლოდ მიიღებენ პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ მიწის ნაკვეთზე განახლებულ საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტს.
მხოლოდ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები მიიღებენ რეალურად დაკარგული წლიური მოსავლის კომპენსაციას.	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირი მიიღებს წლიური მოსავლის ზარალის კომპენსაციას, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის სტატუსის მიუხედავად.	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა შინამეურნე მიიღებს წლიური მოსავლის კომპენსაციას
კანონი არ ითხოვს ბიზნესის შეჩერების გამო დაკარგული ხელფასის/ჯამაგირის და მოგების ზარალის კომპენსაციას.	ბიზნესის დროებითი/სამუდამო შეჩერება ექვემდებარება დაკარგული ხელფასის/ჯამაგირის და მოგების კომპენსაციას.	მოცემული პროექტის ფარგლებში ბიზნესის შეჩერება არ არის მოსალოდნელი
კანონი არ არეგულირებს საჩივრების განხილვის კომისიის საქმიანობას.	საჩივრები უნდა გადაწყდეს საჩივრების განხილვის კომიტეტის საშუალებით, ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო ორგანიზაციების და /ან ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების ჩართულობით.	UWSCG-ს ფარგლებში უკვე არსებობს სამ-ეტაპიანი საჩივრების განხილვის მექანიზმი, რათა განიხილოს და გადაწყვიტოს პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების საჩივრები და ნებისმიერი მესამე მხარის პრეტენზიები; აგრეთვე მონიტორინგისა და ზედამხედველობის მიზნით აწარმოოს საჩივრების რეგისტრაციის ჟურნალი.
კანონი არ ითხოვს პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირებისათვის პირველადი ინფორმაციის მიწოდებას	საჭიროა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს პროექტის შეფასებამდე მიეწოდოს ინფორმაცია	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს მიეკოდება ინფორმაცია დაკარგული აქტივების/შემოსავლის შეფასების მეთოდოლოგიისა და

კომპენსაციის მიღებისათვის დადგენილი პირობების თაობაზე.	კომპენსაციის მიღების პირობების შესახებ.	შესაბამისი საკომპენსაციო განაკვეთების დადგენის პრინციპების შესახებ.
კანონი არ ითხოვს რელოკაციის ხარჯების კომპენსაციას და პროექტის მძაფრი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული და მოწყვლადი ჯგუფებისათვის დამატებითი სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარებას მათი შემოსავლის/საარსებო წყაროს აღდგენის მიზნით.	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ადგილმონაცვლე პირებისათვის დამატებითი სარეაბილიტაციო ღონისძიებები გატარდება მათი შემოსავლის/საარსებო წყაროს აღდგენის მიზნით.	მოცემული პროექტის ფარგლებში ყველა მოწყვლადი და მძაფრი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნე დამატებით მიიღებს ერთჯერად შემწეობას; ამასთან, შინამეურნეების შრომის უნარის მქონე წევრებს მიენიჭება უპირატესობა პროექტთან დაკავშირებულ სამუშაოებზე.
საქართველოს კანონმდებლობა არ მოითხოვს განსახლების გეგმის მომზადებას.	კომპენსაციების გაცემამდე განსახლების გეგმა უნდა წარედგინოს ADB-ს შეთანხმებისთვის.	LARP-ის განხორციელების დაწყებამდე, დოკუმენტის საბოლოო ვერსიას განიხილავს ADB და შეთანხმების შემდგომ დოკუმენტი გაიგზავნება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში შეთანხმებისთვის.
საქართველოს კანონმდებლობა არ მოითხოვს ოფიციალური საჯარო განხილვების მოწყობას	LARP-ის ოფიციალური საჯარო განხილვა, მუდმივ რეჟიმში მიმდინარე საჯარო კომუნიკაცია და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების თანამონაწილეობითი ჩართულობა პროექტის დაგეგმვა, განხორციელებასა და მონიტორინგის პროცესში ADB-ს 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულების განუყოფელი ნაწილია.	პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების თანამონაწილეობითი ჩართულობის, მათი უფლებების, პასუხისმგებლობის, პროექტის ამოცანების, მიზნების და მოსალოდნელი შედეგების, მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის პროცედურების შესახებ მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით, რამდენიმე საჯარო (საორიენტაციო) შეხვედრა ჩატარდა. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირები აქტიურად იყვნენ ჩართულები LARP-ის მომზადების, დოკუმენტის მიმოხილვის და საჯარო განხილვის პროცესში. LARP-ის საბოლოო ვარიანტი შესათანხმებლად წარედგინება ADB-ს.

თავი 5. ინსტიტუციონალური მოწყობა

60. წინამდებარე თავში აღწერილია LARP-ის მომზადებასა და განხორციელებაში ჩართული სახელმწიფო უწყებების როლი, უფლებამოსილება და პასუხისმგებლობის სფეროები. ეს დაწესებულებებია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია - პროექტის განმახორციელებელი სააგენტო, მუნიციპალური მიწის შესყიდვისა და განსახლების სამსახური (MLARO), საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (NAPR), ფინანსთა სამინისტრო, ADB, არასამთავრობო ორგანიზაციები და კონსულტანტები.
61. ქვემოთ აღწერილია პროექტში ჩართული თითოეული სააგენტოს როლი და პასუხისმგებლობის სფერო:
62. შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG) პასუხისმგებელია LARP-თან დაკავშირებული საკითხების განხორციელებაზე, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივი მთავრობის დონეზე. რიგ დავალებებს შორის, UWSCG პასუხისმგებელია შემდეგზე:
- ა. მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის მომზადება
 - ბ. ადგილობრივ მუნიციპალიტეტში MLARO-ს დაფუძნება
 - გ. LARP-თან დაკავშირებულ საკითხებისა და მოქმედებების კოორდინაცია
 - დ. საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და საქართველოს მთავრობაში წარდგენა, რათა შეუფერხებლად მოხდეს განსახლების სამოქმედო გეგმის შეთანხმება და თანხების გამოყოფა კომპენსაციების დროულად გადახდის მიზნით
 - ე. შიდა მონიტორინგის უზურუნვეყოფა ზედამხედველი კონსულტანტის საშუალებით
 - ვ. გარე მონიტორინგის უზურუნველყოფის მიზნით დამოუკიდებელი მონიტორინგის სააგენტოს/ექსპერტის დაქირავება, ADB-ს მოთხოვნის შემთხვევაში
63. მუნიციპალური მიწის შესყიდვისა და განსახლების სამსახური (MLARO): LARP-ის მომზადებაში, LARP-ის განხორციელებასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელებასა და კოორდინაციაში ჩართულობა მუნიციპალურ დონეზე. UWSCG-ი შეუერთდება MLARO-ის შემადგენლობას შემდეგი კანდიდატებით:
- ა. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი;
 - ბ. LARP-ის აქტივობებზე პასუხისმგებელი UWSCG-ის წარმომადგენელი;
 - გ. UWSCG-ის ადგილობრივი წარმომადგენელი;
 - დ. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემის (მოსახლეობის) წარმომადგენელი;
64. ზედამხედველი კონსულტანტი: ზედამხედველი სააგენტო პასუხისმგებელია სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობაზე, ობიექტზე კონტრაქტორის შესვლამდე

კომპენსაციის/სარეაბილიტაციო თანხების გადახდის პროცედურების დაცვის მონიტორინგზე.

65. **ფინანსთა სამინისტრო:** წარმოდგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმისა და შესაბამისი ბიუჯეტის საფუძველზე გამოყოფს კომპენსაციისა და რეაბილიტაციის თანხებს.

66. **შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG)** ზედამხედველობას გაუწევს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირთა ეკონომიკურ ადგილმონაცვლეობას და ზედამხედველი კონსულტანტის დახმარებით მონიტორინგს გაუწევს მშენებლობისა და აღდგენით პროცესებს.

თავი 6. კონსულტაციები და LARP-ის საჯარო განხილვა

საჯარო კონსულტაციები

67. საჯარო კონსულტაციები LARP-ის მომზადების ადრეული ეტაპიდან დაიწყო. კონსულტაციებზე დასწრება თავისუფალი იყო და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო მონაწილეობა. პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული სოფლის მოსახლეობის გარდა, საჯარო კონსულტაციებზე მოწვეულნი იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელი ნახიდურის წარმომადგენლები.

ცხრილი 11. LARP-ის მომზადების პერიოდში ჩატარებული საჯარო საორიენტაციო შეხვედრების მოკლე მიმოხილვა

N	თარიღი	ადგილი	წამყვანი	დამსწრეთა რიცხვი	სამიზნე აუდიტორია	განხილული საკითხები	შეხვედრის შედეგი
1	24 მაისი 2018	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	UWSCG, PIU	30	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, პროექტის სტეიკჰოლდერები	პროექტის დიზაინისა და შედეგების გაცნობა	ჩართულობა და ადგილობრივი მთავრობის მხარდაჭერა
2	24 მაისი 2018	ქ. მარნეული	UWSCG, PIU	45	მარნეულის მუნიციპალიტეტი, პროექტის სტეიკჰოლდერები	პროექტის დიზაინისა და შედეგების გაცნობა	
3	17 იანვარი 2019	ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელი ცურტავი	UWSCG, PIU	20	სოფელ ცურტავის მოსახლეობა, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები	პროექტის მასშტაბი და მიზნები; ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პოტენციური პირები დათანხმდნენ, მონაწილეობა

N	თარიღი	ადგილი	წამყვანი	დამსწრეთა რიცხვი	სამიზნე აუდიტორია	განხილული საკითხები	შეხვედრის შედეგი
					ჩიხას მაცხოვრებლები, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პოტენციური პირები	პირებზე მოსალოდნელი ზემოქმედება; LARP-ის მომზადების ათვის, კომპენსაციის მიღებისა და უფლებამოსილებისათვის საჭირო კვლევების მნიშვნელობა	მიიღონ აღწერას, სოციალურ-ეკონომიკურ კვლევასა და მიწის კვლევებში

68. საჯარო კონსულტაციების ყველა დამსწრეს მიეწოდებოდა ინფორმაცია დაგეგმილი პროექტისა და ADB-ს 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულების პრინციპების შესახებ.

LARP-ის გასაჯაროება

69. LARP-ის საბოლოო სამუშაო ვერსია გამოქვეყნდა LARP-ის გასაჯაროების პერიოდში, პროექტით დაინტერესებულ მხარეებს მიერ დოკუმენტის განხილვისა და კომენტარტების უზრუნველყოფის მიზნით.

70. LARP-ის საბოლოო ვერსია ინგლისურად გამოქვეყნდება ADB-ის ვებგვერდზე¹². ქართული ვერსია აიტვირთება UWSCG-ს ვებგვერდზე¹³ და ბეჭდური ვერსიები ხელმისაწვდომი იქნება ბოლნისის მუნიციპალიტეტში.

71. საინფორმაციო პამფლეტში მოკლედ აღწერილი კომპენსაციის მიმღებთა დადგენის საბოლოო თარიღი, კომპენსაციის მიღებისათვის აუცილებელი კრიტერიუმები, შეფასება მეთოდოლოგიისა და კომპენსაციის მიღების უფლებამოსილების მოკლე აღწერა, პროექტის გრაფიკი და განხორციელების მახასიათებლები და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისა და პროექტის დაინტერესებული მხარეების უფლებები და ვალდებულებები, საჩივრების განხილვების მექანიზმი და მონიტორინგის მოდულები.

72. საინფორმაციო ბუკლეტი წარმოდგენილია წინამდებარე LARP-ის დანართში 5.

¹² www.adb.org

¹³ www.water.gov.ge

თავი 7. საჩივრების განხილვის მექანიზმი

მიზნები

73. საჩივრების განხილვის მექანიზმი ერთგვარი პროცესია, რომელიც ზემოქმედებაში მოქცეულ პირს პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე საშუალებას აძლევს საკუთარი წუხილის შესახებ ხმა მიაწვდინოს პროექტის მესვეურებს პრობლემის ოპტიმალური გზით გადაჭრის მიზნით. მოცემული პროექტის ფარგლებში მუშაობს საჩივრების განხილვის მექანიზმი, რომლის საშუალებით პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირები მიიღებენ სრულყოფილ ინფორმაციას საკუთარი უფლებების შესახებ და ეცოდინებათ, როგორ გააკეთონ წერილობითი თუ სიტყვიერი განაცხადი პროექტის ნებისმიერ ეტაპზე, იქნება ეს კონსულტაციები, დეტალური მონაცემების შეგროვება, თუ კომპენსაციების ან განსახლებასთან დაკავშირებული დახმარების მიღება.
74. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში არსებობს სრულად ფუნქციონირებადი საჩივრების განხილვის კომისია და საჩივრების განხილვის მექანიზმი, რომელიც შეიქმნა კომპანიის წესდების მე-8 მუხლის მე-8 უნქტის შესაბამისად, 2018 წლის 30 ოქტომბერს გაცემული ბრძანება N 196 -ის საფუძველზე.
75. ამჟამად, საჩივრების განხილვის კომისია ჩამოყალიბებულია, სრულად ფუნქციონირებს და პროექტის სრული ციკლის განმავლობაში, LARP-ის განხორციელების, მშენებლობისა და ოპერირების ეტაპზე PIU-ს ადმინისტრაციული მხარდაჭერით სარგებლობს.
76. საჩივრების განხილვის კომიტეტის/კომისიის როლი და პასუხისმგებლობაა მიიღოს პრეტენზია და საჩივარი, შეაფასოს მათი მიზანშეწონილობა, განსაზღვროს საბოლოო ზემოქმედების მასშტაბები, დროულად მოახდინოს საკითხის გადაწყვეტა, კომპენსაციასთან დაკავშირებული პრეტენზიების ჩათვლით. კომისიამ უნდა შეინარჩუნოს საჩივრების განხილვის მექანიზმის მოქნილობა და ეფექტურობა და პროექტის დაგეგმვის ან იმპლემენტაციის ეტაპზე წამოჭრილი პრეტენზიები დროულად გადაჭრას.

საჩივრების განხილვის მექანიზმის მუშაობის პრინციპი

77. UWSCG-მ ჩამოაყალიბა სამ-საფეხურიანი (სამ-ეტაპიანი) საჩივრების განხილვის მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმის გამოყენება შეუძლია პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ ნებისმიერ პირს (იგივე, რაც „დაინტერესებული პირი“) ADB-დაფინანსებით განხორციელებული პროექტების ფარგლებში საჩივრების განხილვის მიზნით.

78. **1-ლი ეტაპი:** საჩივრების განხილვის პირველ ეტაპზე შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ რეგიონული ფილიალის/სერვის-ცენტრის აბონენტებთან ურთიერთობის განყოფილების/აბონენტთა მომსახურების სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენელი ვალდებულია გაეცნოს საჩივრის შინაარსს, უზრუნველყოს საჩივრის რეგისტრაცია ბრძანება N196-ის დანართით 1 დამტკიცებული ფორმის შესაბამისად და წარუდგინოს იგი საჩივრს განხილვის კომიტეტს, რომელიც წარმოდგენილ საჩივარს განიხილავს ორი კვირის ვადაში.

საჩივრების განხილვის კომიტეტის შემადგენლობა:

- ა. UWSCG-ის შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელი(რეგიონული ფილიალის მენეჯერი/სერვის-ცენტრის დირექტორი), კომიტეტის თავმჯდომარე;
- ბ. UWSCG-ის საინვესტიციო პროექტების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენელი;
- გ. UWSCG-ის გარემოს დაცვისა და ნებართვების დეპარტამენტის წარმომადგენელი;
- დ. პროექტის/ქვეპროექტის განმახორციელებელი სამშენებლო კომპანიის წარმომადგენელი;
- ე. პროექტის/ქვეპროექტის განმახორციელებელი საზედამხედველო კომპანიის წარმომადგენელი;
- ვ. შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი/რწმუნებული;
- ზ. აზიის განვითარების ბანკის პროგრამის გარემოს დაცვის სპეციალისტი;
- თ. ადგილობრივი არასამტავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი (საჩივრის შინაარსის გათვალისწინებით);
- ი. UWSCG-ის შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენელი, კომიტეტის მდივანი.

79. **მე-2 ეტაპი:** საჩივრის განხილვის პირველ ეტაპზე საჩივარში წარმოდგენილი პრობლემის ორი კვირის ვადაში გადაუჭრელობის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს შეუძლია საჩივრით მიმართოს ბრძანება N196 მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესით შექმნის კომისიას.

საჩივრების განხილვის კომისიის შემადგენლობა:

- ა. UWSCG-ის დირექტორი;
- ბ. UWSCG-ის დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში;
- გ. UWSCG-ის დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში;
- დ. UWSCG-ის დირექტორის მოადგილე კომერციულ საკითხებში;
- ე. UWSCG-ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- ვ. UWSCG-ის გარემოს დაცვისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსი;
- ზ. UWSCG-ის დირექტორატის აპარატის კომუნიკაციის სამსახურის უფროსი;

თ. UWSCG-ის პროექტების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ი. UWSCG-ის მშენებლობის ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი;

კ. UWSCG-ის გარემოს დაცვისა და ნებართვების დეპარტამენტის წარმომადგენელი, კომისიის მდივანი.

80. მე-3 ეტაპი: საჩივრის განხილვის მეორე ეტაპზე საჩივარში დასმული საკითხის ორი კვირის ვადაში გადაუჭრელობის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს აზიის განვითარების ბანკის მუდმივ წარმომადგენლობას საქართველოში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. ტაბიძის ქ. #1; ტელ: + 995 322 250 619.

81. საინვესტიციო პროგრამის მართვის სამსახური (IPMO) უზურნველყოფს UWSCG-ის ადგილობრივი სერვის-ცენტრის შესაბამისი თანამშრომლების ტრეინინგს¹⁴ საჩივრების მიღებისა და პროცესირების საკითხებზე. საჩივრების განხილვის მექანიზმზე პასუხისმგებელი პირი, ადგილობრივი სერვის ცენტრის წარმომადგენელი უნდა იცნობდეს გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმას და შემარბილებელ ღონისძიებებს, რათა სწორად მოახდინოს იმ საჩივრების კლასიფიკაცია, რომელთა განხილვა საჩივრების განხილვის მექანიზმის გამოყენებით უნდა მოხდეს. ამასთან, სერვის ცენტრი მომარაგებული იქნება საკმარისი რაოდენობის საჩივრის ფორმის ბლანკებით¹⁵ და საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალებით¹⁶.

82. ადგილობრივი სერვის ცენტრის საჩივრებზე პასუხისმგებელი პირი საჩივარს დაარეგისტრირებს რეგისტრაციის ჟურნალში. ასეთივე საჩივრების რეგისტრაციის ჟურნალი განთავსებულია საშემნებლო მოედნებზე არსებულ დროებით ოფისებში, სადაც ნებისმიერ დაზარალებულ პირს შეუძლია საჩივარი ადგილზე დააფიქსიროს.

83. საინფორმაციო პამფლეტში მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები (სახელი, გვარი და ტელეფონის ნომრები), პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირის ან ნებისმიერ დაინტერესებული პირის სატელეფონო ზარის მიღების საათები. იგივე ინფორმაცია გამოკრული იქნება პროექტის არეალში არსებული ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და სერვის ცენტრის ოფისებში განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე.

¹⁴ UWSCG უზურნველყოფს საჩივრების განხილვის მექანიზმის ოპერირებაზე პასუხისმგებელი ყოველი ახალი თანამშრომლის ტრეინინგს. დასაქმებულთა ტრეინინგს ახორციელებს USHP-ის და საზედამხედველო კომპანიის გარემოსდაცვის სპეციალისტები.

¹⁵ ნიმუში წარმოდგენილია დანართში 4.

¹⁶ ნიმუში წარმოდგენილია დანართში 3.

საჩივრების განხილვის ციკლი

84. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ან ნებიერი დაინტერესებული პირის საჩივრის და პრეტენზიის განხილვა მოხდება ქვემოთ აღწერილი პროცესის მიხედვით.

ეტაპი	მოქმედების დონე	პროცესი	ვადები
1-ლი ეტაპი	UWSCG-ს ადგილობრივი სერვის ცენტრი	საჩივრების განხილვის პირველ ეტაპზე შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ რეგიონული ფილიალის/სერვის-ცენტრის აბონენტებთან ურთიერთობის განყოფილების/აბონენტთა მომსახურების სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენელი გაეცნობა საჩივრის შინაარსს, უზრუნველყვას საჩივრის რეგისტრაცია ბრძანება N196-ის დანართით 1 დამტკიცებული ფორმის შესაბამისად და წარუდგენს იგი საჩივრის განხილვის კომიტეტს, რომელიც წარმოდგენილ საჩივარს განიხილავს ორი კვირის ვადაში.	2 კვირა
მე-2 ეტაპი	UWSCG-ს საჩივრების განხილვის კომისია	საჩივრის განხილვის პირველ ეტაპზე საჩივარში წარმოდგენილი პრობლემის ორი კვირის ვადაში გადაუჭრელობის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს შეუძლია საჩივრით მიმართოს ბრძანება N196 მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესით შექმნის კომისიას. კომისიის წევრების უმრავლესობის მხარდაჭერით მიღებული გადაწყვეტილება ჩაითვლება საჩივრების განხილვის კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებად და დაინტერესებულ პირს ჩაბარდება კომისიის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი დასკვნა. საქმესთან დაკავშირებული ჩანაწერები განახლდება და მომჩივანს/დაინტერესებულ პირს 14 დღის ვადაში ჩაბარდება კომისიის გადაწყვეტილება.	2 კვირა
მე-3 ეტაპი	აზიის განვითარების ბანკის	თუ კომისია ვერ შესძლებს საჩივარში წამოჭრილი პრობლემის გადაჭრას საჩივრის ოფიციალურად წარდგენის დღიდან ორი კვირის ვადაში,	

ეტაპი	მოქმედების დონე	პროცესი	ვადები
	საქართველოს მისია	დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს აზიის განვითარების ბანკის საქართველოს მისიას.	

85. ნებისმიერ მომჩივანს, იქნება ეს ფიზიკური თუ იურიდიული პირი, საჩივრების განხილვის ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია მიმართოს სასამართლოს. საჩივრების განხილვის კომისია არ მოახდენს არანაირ ზეწოლას, არ შეზღუდავს დაინტერესებულ პირს მიმართოს სასამართლოს საკითხის იურიდიული გზით გადაწყვეტის მიზნით.
86. თუ კომისია ჩათვლის, რომ საჩივარი არ არის მიზანშეწონილი ან სათანადოდ შედგენილი, კომისია წერილობით ახსნა-განმარტებას გაუგზავნის მომჩივანს, რომელსაც შეუძლია არ დაეთანხმოს კომისიის განმარტებას და საქმე აღძრას სასამართლოში.

თავი 8. მონიტორინგი და ანგარიშგება

87. პროექტი შეიმუშავებს შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემებს. მონიტორინგისა და შეფასების პროგრამის მთავარი მიზანია უზრუნველყოს, რომ განსახლებისა და მიწისა და საკუთრების შესყიდვის პროცესები განხორციელდა აზიის განვითარების ბანკის 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულების, საქართველოს კანონებისა და LARP-ის შესაბამისად.

88. მონიტორინგისა და შეფასების მიზანია:

- ა. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული შინამეურნეების ცხოვრების დონის გაუმჯობესება და/ან აღდგენა პირვანდელი დონის შესაბამისად;
- ბ. პროექტის განხორციელების გრაფიკის და ვადების დაცვა;
- გ. არსებული ან პოტენციური პრობლემების გამოვლენა;
- დ. არსებული/მოსალოდნელი პრობლემების გადასაჭრელად სწრაფი რეაგირების მეთოდის შემუშავება;
- ე. საჩივრების განხილვის მექანიზმის ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ნებისმიერი საჩივრის წამოჭრის შემთხვევაში, მათი დროული განხილვა და გადაჭრის ეფექტური გზების გამონახვა.

შიდა მონიტორინგი

89. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ განხორციელებს მოცემული პროექტის შიდა მონიტორინგს. კომპანიის მიერ დანერგილი და წარმატებით აპრობირებული პროცედურების მიხედვით.

90. შიდა მონიტორინგის ძირითადი მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად, UWSCG პროექტის განხორციელების პროცესში განსაკუთრებულად გაამახვილებს ყურადღებას შემდეგ ასპექტებზე:

- ა. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირებისათვის საინფორმაციო კამპანიისა და კონსულტაციების მოწყობის ხარისხი და სიხშირე;
- ბ. მიწის შესყიდვისა და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული აქტივებისათვის კომპენსაციების გადახდის სტატუსი;
- გ. დამატებითი სარეაბილიტაციო და შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების სტატუსი;
- დ. საჩივრების განხილვის კომისიის მუშაობის მონიტორინგი.

ანგარიშგება

91. პროექტის მშენებლობის პროცესში სოციო-ეკონომიკური ზემოქმედების ფაქტების შესახებ ინფორმაციას ადგილზე შეაგროვებს ზედამხედველობის კონსულტანტი და ყოველთვიური ანგარიშის ფორმატში მიაწვდის პროექტის ხელმძღვანელს UWSCG-ის სათაო ოფისში.
92. ყოველთვიური ანგარიშების საფუძველზე მომზადებული კონსოლიდირებული კვარტალური ანგარიში გადაეგზავნება ინფრასტრუქტურის სამინისტროს და ADB-ს.

თავი 10. LARP-ის ბიუჯეტი და საკომპენსაციო განაკვეთები

93. ლიცენზირებული შემფასებლის მიერ მომზადდა შეფასების მეთოდოლოგია და დაადგინა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების, შემოსავლის საკომპენსაციო განაკვეთები.
94. შეფასების ანგარიშში აღწერილია საკომპენსაციო განაკვეთების გაანგარიშების მეთოდი, რომელიც ეფუძნება საბაზრო ფასების მიხედვით სრული ჩანაცვლებითი ღირებულების პრინციპებს. ქართულ ენაზე მომზადებული ანგარიში წარდგენილია UWSCG-ში და დაინტერესების შემთხვევაში ხელმისაწვდომია პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ნებისმიერი პირისათვის.
95. გარდა ამისა, საკომპენსაციო განაკვეთების განსაზღვრის დროს გამოყენებული მידგომების მოკლე აღწერა შეჯამებულია საინფორმაციო პამფლეტში, რომელიც მომზადდა სპეციალურად პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირებისათვის. აღნიშნული საინფორმაციო პამფლეტები პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ ყველა შინამეურნეს ინდივიდუალურად გადაეცემა. პამფლეტთან ერთად ისინი მიიღებენ პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთისათვის მომზადებულ ერთგვრდიან დოკუმენტს¹⁷, რომელშიც ჩაშლილია ფულადი კომპენსაციის პაკეტის შემადგენლობა.
96. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების (მიწა, შენობა, მრავალწლოვანი ნარგავები) და დაკარგული შემოსავლის (ერთწლიანი კულტურები) საკომპენსაციო განაკვეთები განსაზღვრულია შემფასებლის მიერ. ხოლო, მოწყვლადი და მძაფრი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეებისათვის გამოყოფილი ერთჯერადი შემწეობის ოდენობა განისაზღვრა განსახლების ჩარჩო-დოკუმენტის, ADB SPS 2009

¹⁷ აღნიშნული დოკუმენტი ინდივიდუალურად გადაეცემა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ შინამეურნეს.

დებულებების მიხედვით და წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითებზე დაყრდნობით.

97. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს შემოთავზებული საკომპენსაციო განაკვეთების მიხედვით დაანგარიშებულ LARP-ის სავარაუდო (მიახლოებით) ბიუჯეტს.

98. შენიშვნა: ექსელის ფორმატში მომზადებულია დეტალური საკომპენსაციო პაკეტი, სადაც თითოეული მიწის ნაკვეთისათვის განკუთვნილი კომპენსაციის ოდენობა ჩაშლილია ზემოქმედების ტიპების მიხედვით. ეს არის LARP-ის დეტალური ბიუჯეტი და წარდგენილია ცალკე დოკუმენტის სახით. დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის გამოყენება მხოლოდ ოფიციალური დანიშნულებით არის დასაშვები და არ ექვემდებარება გასაჯაროვებას.¹⁸

ცხრილი 13: ფულადი კომპენსაციისა და LARP-ის განხორციელების ბიუჯეტი

#	საკომპენსაციო	რაოდენობა (კვ.მ./ერთეული)	ერთეულის ზომა	ერთეულის ფასი (GEL)	ჯამი
1	სასოფლო-სამეურნეო მიწა	2165	კვ.მ.	2	4 330
2	შუალედური ჯამი:	2165	კვ.მ.	2	4330
3	ერთწლიანი კულტურები (სიმინდი)	13811	კვ.მ.	0,38	5248
4	ერთწლიანი კულტურები (კარტოფილი)	13811	კვ.მ.	1,5	20717
5	შუალედური ჯამი:	N/A	კვ.მ.	N/A	25965
6	მოწყვლადობა	1	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახები	1084	1084
7	მძაფრი ზემოქმედება	12	ნაკვეთები	1084	13008
8	შუალედური ჯამი:	N/A			14092
9	ფულადი კომპენსაციის ჯამი				44387
10	საშემოსავლო გადასახადი (20%)				8011
11	LARP-ის კომპენსაციის ჯამი (ლარი)				52398
LARP-ის განხორციელების დამატებითი ხარჯები					

18 სახელი, გვარი, საკონტაქტო მონაცემები და დეტალურად ჩაშლილი საკომპენსაციო პაკეტი წარმოდგენილია ცალკე დანართის სახით და ექვემდებარება მხოლოდ შიდა სტრუქტურებში გამოყენებას პროექტის განხორციელების, მონიტორინგის და შეფასების პროცესში. პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, აღნიშნული დანართი არ გასაჯაროვდება LARP-ის განხილვის დროს.

12	მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია	8	ერთეული	51	408
13	გაყოფილი მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია	14	ერთეული	102	1428
14	ნასყიდობის რეგისტრაცია	14	ერთეული	56	784
15	რეგისტრაციის ხარჯების ჯამი	-	-	-	2620
17	საკომპენსაციო თანხებისა და LARP-ის განხორციელების გაუთვალისწინებელი ხარჯები (20%)				11004
18	LARP-ის განხორციელების საერთო ხარჯები	-	-	-	13624
19	საერთო ხარჯების ჯამი GEL				66022
20	საერთო ხარჯების ჯამი USD-ში, სადაც გაცვლის კურსია: 1 USD – 2.69 GEL				24543

დანართები

დანართი 1. განხორციელებული საჯარო კონსულტაციების მომიხოლვა

ცხრილი 14. 17.01.2019 ბოლნისის მუნიციპალიტეტში საჯარო საორიენტაციო შეხვედრების დროს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების მიერ დასმული კითხვები და მათზე გაცემული პასუხები

#	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირის სახელი	დასმული კითხვა	LARP კონსულტანტისა და UWSCG-ის განსახლების გუნდის პასუხი
1	რამოდენიმე პირმა დასვა ეს შეკითხვა	როდის იგეგმება სამშენებლო სამუშაოების დაწყება?	სამშენებლო სამუშაოები დაიწყება მას შემდეგ, რაც მშენებელ-კონტრაქტორი და ზედამხედველი კომპანია შეირჩევა საერთაშორისო ტენდერით და შესაბამისი კონტრაქტები დაიდება.
2	რამოდენიმე პირმა დასვა ეს შეკითხვა	რამდენ ხანს გაგრძელდება სამშენებლო პროცესები?	საორიენტაციოდ სამშენებლო პროცესი გასტანს 900 დღეს, დასაწყისიდან 2018 წლის დეკემბრიდან
3	რამოდენიმე პირმა დასვა ეს შეკითხვა	ადგილობრივ მოსახლეობას ექნება დასაქმების შანსი?	როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, სამშენებლო კომპანიები ქირაობენ ადგილობრივ ხალხს შესაბამისი უნარ-ჩვევებითა და სამუშაო გამოცდილებით. გარდა ამისა, LARP-ში რეკომენდაცია იქნება, რომ პროექტთან დაკავშირებულ სამუშაოებზე აყვანისას პრიორიტეტი მიენიჭოს მძაფრი ზემოქმედების ქვეშ არსებულ და მოწყვლად ოჯახებს.
4	ბ-ნ ზალიმხან ალაზოვი	რა პრინციპით განისაზღვრება საკომპენსაციო თანხა?	ლიცენზირებული შემფასებელი შეაფასებს თქვენი მიწის ნაკვეთების სრულ საბაზრო ღირებულებს საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო შეფასების სტანდარტებისა და ADB-ის 2009 წლის უსაფრთხოების დებულების მიხედვით. საბაზო ღირებულება დაეფუძნება ამჟამინდელი საბაზრო მონაცემების შედარებით ანალიზს; კონკრეტულად კი საპროექტო ტერიტორიასთან ახლოს მდებარე სახნავი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების ყველაზე უახლეს ფასებს. მიწის შესყიდვის პროცესები არ დაიწყება, სანამ LARP-ის სამუშაო ვერსია არ იქნება ცნობილი, სანამ არ გაგაცნობენ კომპენსაციის მიღების პირობებსა და არ მივიღებთ თქვენს უკუპასუხს და თქვენი კომენტარები არ იქნება განხილული LARP-ის საბოლოო გეგმაში.
5	ბ-ნ რამიზ ტალიბოვი	ჩვენ ყოველწლიურად ვამუშავებთ ამ მიწის ნაკვეთებს და აქედან გვაქვს ძირითადი შემოსავალი. შევძლებთ, თუ	რა თქმა უნდა შეძლებთ მიწის ნაკვეთის დამუშავებას, თვენს საკუთრებაში დარჩენილი მიწის ფართობი კვლავ გამოსადეგი იქნება სასოფლო სამეურნეო საქმიანობისთვის

#	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირის სახელი	დასმული კითხვა	LARP კონსულტანტისა და UWSCG-ის განსახლების გუნდის პასუხი
		არა პროექტის დასრულების შემდგომ მიწის ნაკვეთების დამუშავებას?	
6	ბ-ნ ზალიმხან ალაზოვი	მილის განთავსების შემდგომ, როგორ მივალთ ჩვენს ნაკვეთებამდე?	პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემდგომ თქვენთვის მოეწყობა მისასვლელი გზა, რომელიც ბევრად გაგიმარტივებთ თქვენს ნაკვეთების დამუშავების პროცესს.
7	ბ-ნ სევლან ისაევი	მისასვლელი გზა მოეწყობა ჩვენი მიწის ნაკვეთების ხარჯზე? ანუ დამატებით უნდა გამოისყიდოთ გზისთვის მიწის ნაკვეთები?	კომპანიას ბუფერით გათვალისწინებული აქვს წინასწარ გზისთვის მოსაწყობი ტერიტორიაც, შესაბამისად დამატებით მიწის ნაკვეთის გამოსყიდვა აღარ მოხდება, გზა მოეწყობა იმ ტერიტორიაზე რაც გათვალისწინებული იქნება განსახლების გეგმით.
8	აბბას აბბასოვი	ჩვენს მიწებს აქვთ სარწყავი არხები, აქ თქვენ რომ გზას მოაწყობთ როგორ მოვრჩავთ ჩვენს მიწებს?	პროექტის განხორციელება ითვალისწინებს ნებისმიერი დამხმარე ინფრასტრუქტურის, მათ შორის სარწყავი არხების საწყის მდგომარეობაში დაბრუნებას, შესაბამისად თქვენ კვლავ გექნებათ ნაკვეთების მორწყვის საშუალება

დანართი 2. საჩივრის ფორმა

საჩივრის ფორმა	
მომჩივანის განყოფილება:	
სახელი, გვარი: _____	საფოსტო მისამართი/ /მუდმივი საცხოვრებელი სოფელი: ----- მუნიციპალიტეტი:-----
კომუნიკაციის თქვენთვის სასურველი ფორმა მონიშნეთ X -ით პასუხი ფოსტით, მითითებულ მისამართზე: _____ შეხვედრა საჩივრების მიმღებ პირთან:	საკონტაქტო მონაცემები მობილური:----- ტელეფონი: ----- ელ-ფოსტა: -----
საკომუნიკაციო ენა (მონიშნეთ X -ით)	ქართული სხვა _____ (დააზუსტეთ)
საჩივრის წარდგენის თარიღი:	მოსმენის თარიღი:
<p>გთხოვთ, დეტალურად აღწეროთ თქვენი უკმაყოფილების, საჩივრის მიზეზი. საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ ფურცლები.</p> <p>წარმოადგინეთ შესაბამისი დოკუმენტების ასლები</p>	
განმცხადებლის ხელმოწერა: _____	ჩაიბარა: (სახელი, გვარი): _____
თარიღი _____	ხელმოწერა: _____
თარიღი _____	თარიღი _____

1. *„სტატუსში მიუთითეთ: „ღია“ ან „დახურული“ (თუ საკითხი „დახურულია“, მიუთითეთ დახურვის თარიღი)*
2. შევსებულია -ის გარემოსდავის სპეციალისტის მიერ:
 სპეციალისტი: _____
 თარიღი: _____

თარიღი: _____

დანართი 4. საინფორმაციო ბუკლეტი

მიწის შესყიდვისა და განსახლების სამოქმედო გეგმის

საინფორმაციო ბუკლეტი

ძვირფასო მკითხველო,

წინამდებარე საინფორმაციო პამფლეტი მომზადებულია თქვენთვის, რათა გაგიზიაროთ ინფორმაცია ქ. მარნეულისა და ქ. ბოლნისის წყალარინების სისტემის მშენებლობის პროექტის შესახებ.

ეს არის საჯარო დოკუმენტი, რომელშიც მოკლედაა აღწერილი საქართველოს კანონმდებლობისა და აზიის განვითარების ბანკის სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის დებულების (ADB SPS 2009) შესაბამისად მომზადებული, მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით (შემდგომში „ლარპ“-ი) განსაზღვრული მნიშვნელოვანი ეტაპები.

პროექტის მიმოხილვა და ზემოქმედების არეალი

ქ. ბოლნისისა და ქ. მარნეულის წყალარინების სისტემების მშენებლობის პროექტი ხორციელდება ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის (USIIP ტრანში 6) ფარგლებში, საქართველოს მთავრობისა და აზიის განვითარების ბანკის (ADB) დაფინანსებით. პროექტის განმახორციელებელი სააგენტოა შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ქ. ბოლნისიდან ქ. მარნეულისაკენ გამავალი, ჩამდინარე წყლების გამყვანი მაგისტრალური კოლექტორის მოსაწყობად შეირჩა მარშრუტი, რომლის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია თქვენს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების გარკვეული ნაწილი

ცხრილი 1. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთებისა და გამოსასყიდი მიწის ფართობის შემაჯამებელი ცხრილი

ზემოქმედების მასშტაბი	მიწის ნაკვეთების რ-ობა	მთლიანი ფართობი (კვ.მ.)	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ფართობი (კვ.მ.)	კერძო საკუთრებაში დარჩენილი მიწის ფართობი (კვ.მ.)
მიწის ნაკვეთის ნაწილის გამოსყიდვა	14	12 171	2 165	10 006
სახელმწიფოსგან მიწის ნაკვეთის უსასყიდლოდ გადმოცემა	1	1 640	1 640	0
სულ	15	13811	3805	10006

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს „ლარპ“-ის მომზადების პროცესში განხორციელებული აღწერის, სოციო-ეკონომიკური და ტიტულის კვლევის, მიწის ნაკვეთების დემარკაცია, აზომვისა და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების ინვენტარიზაციის შედეგად დადგენილი პროექტის ზემოქმედების მასშტაბს.

ცხრილი 2 . პროექტის ზემოქმედების შემაჯამებელი მონაცემები

ზემოქმედებაში მოქცეული ერთეული	ერთეულის რაოდენობა
მიწის ნაკვეთი	15
შინამეურნე	12
ზემოქმედებაში მოქცეული პირების საერთო რაოდენობა	64
მოწყვლადი ოჯახები	1
მძაფრი ზემოქმედება	13
მთლიანი მიწის შესყიდვა	0
მიწის ნაკვეთის ნაწილის შესყიდვა	14
სახელმწიფო მიწის ფართობის კაპიტალში შემოტანა	1
მიწის ნაკვეთი, ერთწლიანი კულტურებით	15

პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებზე/თემზე პროექტის ზემოქმედების მასშტაბისა და სიმძაფრის მიხედვით, და აზიის განვითარების ბანკის 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის

დებულებების გათვალისწინებით¹⁹, მოცემულ პროექტს მიენიჭა „ბ“ კატეგორიის კლასიფიკაცია.

“ლარპ“-ის მომზადების პროცესში განხორციელებული ღონისძიებები

“ლარპ“-ის მომზადების პროცესში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ა. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა მიწის ნაკვეთის ადგილზე იდენტიფიკაცია და ნუმერაცია;
- ბ. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა შინამეურნის აღწერა და მათი სოციო-ეკონომიკური მონაცემების შეგროვება;
- გ. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთების დემარკაცია და აზომვა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის, ან მისი კანონიერი წარმომადგენლის, მომიჯნავე მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების ან მათი კანონიერი წარმომადგენლების, ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და ხელისუფლების წარმომადგენლების თანდასწრებით;
- დ. დემარკაციისა და აზომვების დროს იდენტიფიცირებული პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების ინვენტარიზაცია მესაკუთრის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და ხელისუფლების წარმომადგენლების თანდასწრებით;
- ე. ლიცენზირებული შემფასებლის მიერ პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების დამატებითი ინვენტარიზაცია, უძრავი ქონების ბაზარზე მეორადი გაყიდვების კვლევა, შეფასების ანგარიშის მომზადება და პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწისა და აქტივებისათვის კომპენსაციის განაკვეთების დადგენა;
- ვ. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული თითოეული მიწის ნაკვეთისათვის, ზემოქმედების ტიპებისა და მასშტაბის მიხედვით დეტალურად ჩამოთვლილი საკომპენსაციო პაკეტის მომზადება.

ADB-ის პოლიტიკის გათვალისწინებით შემუშავებული „ლარპ“-ის პრინციპები

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ „ლარპ“-ი მოამზადა საქართველოს კანონმდებლობისა და ADB-ს უსაფრთხოების პოლიტიკის დებულების შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტი გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო ინსტრუმენტი, რათა პროექტი განხორციელდეს ADB-ს არანებაყოფლობითი განსახლების ყველა ძირითადი პრინციპის დაცვით. კერძოდ:

- ა. შესაძლებლობის ფარგლებში მოხდეს არანებაყოფლობითი განსახლების თავიდან აცილება ან მინიმუმამდე შემცირება;

¹⁹ <http://www.adb.org>

- ბ. მინიმუმამდე შემცირდეს არანებაყოფლობითი განსახლების მასშტაბი პროექტის ალტერნატიული დიზაინის შერჩევის გზით;
- გ. ხელი შეუწყოს პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს საარსებო პირობების გაუმჯობესებაში თუ არა, პროექტამდე არსებული დონის შენარჩუნებაში;
- დ. ადგილმონაცვლე პირებსა და სხვა მოწყვლად ჯგუფებს ხელი შეუწყოს საარსებო პირობების გაუმჯობესებაში.

მიწის შესყიდვა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და აზიის განვითარების ბანკის 2009 წლის სოციალური უსაფრთხოების დებულებების შესაბამისად. პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა პირი მიიღებს მიმდინარე საბაზრო ფასების მიხედვით დადგენილ კომპენსაციას სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით დაკარგული აქტივებისათვის და მოწყვლადობისა და მძაფრი ზემოქმედებისათვის დადგენილ შემწეობას.

ამასთან, კონტრაქტორი სამშენებლო ტერიტორიაზე შესვლის ნებართვას მხოლოდ მაშინ მიიღებს, როდესაც საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია დაადასტურებს, რომ ადგილმონაცვლე პირებისათვის გადასახდელი თანხების განკარგვა დასრულებულია, სარეაბილიტაციო ღონისძიებები განხორციელებული, ხოლო გასხვისებული ტერიტორია კი გათავსიუფლებული.

მოცემული პროექტის კომპენსაციის მიმღებთა დადგენის საბოლოო თარიღია 2019 წლის 18 იანვარი.

ეს არის თარიღი, როდესაც დასრულდა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირების აღწერა, შინამეურნეთა სოციო-ეკონომიკური კვლევა, პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთების დემარკაცია, აზომვა და ინვენტარიზაცია. აღნიშნული კვლევები განხორციელდა 2019 წლის 5 იანვრიდან 30 იანვრის ჩათვლით.

ამდენად, დადგენილია პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა (15) მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, რომლებსაც ეკუთვნით „ლარპ“-ით განსაზღვრული ფულადი კომპენსაცია.

საყურადღებოა! ნებისმიერი პირი, რომელიც **2019 წლის 18 იანვრის შემდეგ**, შეეცდება პროექტის გასხვისების დერეფანში რაიმე ტერიტორიის დაკავებას, ჩაითვლება უკანონოდ შეჭრილად და არ მიიღებს ფულად კომპენსაციას პროექტის გასხვისების კორიდორში 2019 წლის 18 იანვრის შემდეგ გაწეული დანახარჯისათვის. მსგავს შემთხვევაში, ეს პირი სამი თვით ადრე მიიღებს წინასწარ შეტყობინება-გაფრთხილებას, დაკავებული ტერიტორიის გათავსიუფლების მოთხოვნით.

სამართლებრივი ჩარჩო

კონკრეტული კანონები და საკანონმდებლო აქტები არეგულირებენ საქართველოში კერძო საკუთრების უფლებას. საქართველოს კანონმდებლობა, აგრეთვე განსაზღვრავს კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების მოპოვებას საზოგადოებრივი საჭიროების მიზნით. კანონმდებლობა, აგრეთვე ითვალისწინებს ადგილმონაცვლეობის (განსახლების) ხარჯების ანაზღაურებას საბაზრო ღირებულებით; განსაზღვრულია ზიანის ტიპები (რომელიც ექვემდებარება კომპენსაციას) და დადგენილია, კომპენსაციის გაცემა, როგორც მატერიალური აქტივებისათვის, ისე დაკარგული შემოსავლისათვის. კანონმდებლობის თანახმად, კონსულტაციებსა და შეტყობინებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების განსახლების პროექტის მომზადებისა და განხორციელების პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, განსახლების გეგმის განხორციელების პროცესში გამოიყენება შემდეგი საკანონმდებლო მექანიზმები:

- ა. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, გასხვისების კორიდორში არსებული მიწისა და აქტივების გამოსყიდვა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებთან მოლაპარაკებისა და დადგენილი კომპენსაციის გადახდის გზით;
- ბ. მოლაპარაკების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში, ექსპროპრიაციის უფლების გამოყენება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე და დადგენილი კომპენსაციის გადახდის შემდეგ.

შეფასების მეთოდოლოგია და კომპენსაციის განაკვეთები

პროექტში ჩართული იყო ლიცენზირებული შემფასებელი, რომელმაც შემფასებელმა მოამზადა შეფასების მეთოდოლოგია და დაადგინა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების (მიწა, ნაგებობა, ნარგავები) საკომპენსაციო განაკვეთები. შეფასების ანგარიშში აღწერილია საკომპენსაციო განაკვეთების გაანგარიშების მეთოდი, რომელიც ეფუძნება საბაზრო ფასის მიხედვით სრული ჩანაცვლებითი ღირებულების პრინციპებს.

ქართულ ენაზე მომზადებული ანგარიში წარდგენილია შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში და დაინტერესების შემთხვევაში ხელმისაწვდომია პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ნებისმიერი პირისათვის.

პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული აქტივების (მიწა, შენობა, მრავალწლოვანი ნარგავები) და დაკარგული შემოსავლის (ერთწლიანი კულტურები) საკომპენსაციო განაკვეთები განსაზღვრულია შემფასებლის მიერ. ხოლო, მოწყვლადი და მძაფრი ზემოქმედების ქვეშ

მოქცეული შინამეურნეებისათვის გამოყოფილი ერთჯერადი შემწეობის ოდენობა განისაზღვრა განსახლების ჩარჩო-დოკუმენტის, ADB SPS 2009 დებულებების მიხედვით და წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითებზე დაყრდნობით.

„ლარკ“-ის განხორციელების დროს პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ ყველა შინამეურნეს ინდივიდუალურად გადაეცემა პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთისათვის მომზადებულ ერთგვერდიანი დოკუმენტი, რომელშიც ჩაშლილია ფულადი კომპენსაციის პაკეტის შემადგენლობა.

ცხრილი 3. კომპენსაციის განაკვეთები

#	კომპენსაციის დასახელება	ერთ. ზომა	ერთ. განაკვეთი (GEL)
1	სასოფლო-სამეურნეო მიწა	კვ.მ.	2
2	ერთწლიანი კულტურები (სიმინდი)	კვ.მ.	0,38
3	ერთწლიანი კულტურები (კარტოფილი)	კვ.მ.	1,5
4	მოწყვლადობა	ოჯახი	1084
5	მძაფრი ზემოქმედება	ნაკვეთი	1084

კომპენსაციის პირობები და შემარბილებელი ღონისძიებები

აზიის განვითარების ბანკის 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულებებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კომპენსაციის პირობები განსაზღვრულია სპეციალურად ამ პროექტისათვის და მოიცავს არსებულ საბაზრო ფასებზე დაყრდნობით სრული ჩანაცვლებითი ღირებულების მეთოდით გაანგარიშებულ ფულად კომპენსაციას პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ იმ პირებზე, რომლებიც პროექტის შედეგად დაკარგავენ მიწას, აქტივებს და შემოსავლებს. ქვემოთ იხილეთ კომპენსაციის პირობების დეტალური ახსნა:

სასოფლო-სამეურნეო სახნავი მიწა: სრული ჩანაცვლებითი ღირებულების მეთოდით დაანგარიშებული ფულადი კომპენსაციის ის ოდენობა, რაც საკმარისი იქნება პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთის მსგავსი, სანაცვლო ნაკვეთის შესაძენად, მისი დანიშნულების/პროდუქტიულობის და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით (პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთთან სიახლოვეს). სრული ჩანაცვლებითი ღირებულების გაანგარიშების მეთოდი აგრეთვე მოიცავს ხარჯებს, რაც დასჭირდება ახალი მიწის ნაკვეთის მომზადებას. კერძოდ, ახალი მიწის ნაკვეთი უნდა შეესაბამებოდეს პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული მიწის ნაკვეთის მდგომარეობას. სახელმწიფო გადასახადებს და ტრანზაქციის რეგისტრაციის მოსაკრებლებს სრულად დაფარავს პროექტის აღმასრულებელი სააგენტო.

„ოზლად დარჩენილი მიწა“: მიწის ნაკვეთის ნაწილის შესყიდვის შემდეგ დარჩენილი ნაწილი, რომელიც კარგავს პირვანდელ დანიშნულებას და ხდება ეკონომიკურად უსარგებლო. ასეთ შემთხვევაში მიწის მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს მთლიანი მიწის შესყიდვა და შესაბამისი ოდენობის ფულადი კომპენსაცია.

ერთწლიანი კულტურები: ერთწლიანი კულტურებისათვის ფულადი კომპენსაცია გაიცემა არსებული საბაზრო ფასების შესაბამისად იმ შემთხვევაშიც კი თუ პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული პირები მოასწრებენ მოსავლის აღებას. კომპენსაციას მიიღებს მიწის მესაკუთრე. საიჯარო ხელშეკრულების პირობებში, ფულადი კომპენსაცია გადანაწილდება მიწის მესაკუთრეზე და მეიჯარეზე მოსავლის განაწილების პირობებზე მხარეებს შორის არსებული (წერილობითი/ზეპირი) გარიგების პირობების შესაბამისად.

საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურა (მოცემული პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებთან მისასვლელი გზა): საერთო სარგებლობის აქტივების დაზიანების შემთხვევაში, მოხდება მათი სრული აღდგენა ან რეაბილიტაცია, რათა თემის წევრებმა აღნიშნული ინფრასტრუქტურით შეუფერხებლად ისარგებლონ.

დამატებითი სარეაბილიტაციო ღონისძიებები

„ლარა“-ით გათვალისწინებულია დამატებითი სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარება მოწყვლადი და პროექტის მძაფრი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობისათვის.

მოწყვლადობის ერთჯერადი შემწეობა: დაკარგული მიწის და მოსავლისათვის დადგენილი კომპენსაციის გარდა, მოწყვლადი შინამეურნეობისათვის გათვალისწინებულია დამატებითი სარეაბილიტაციო ღონისძიება; ერთჯერადი შემწეობა, რაც გულისხმობს მოწყვლად ოჯახზე დადგენილ ფულად კომპენსაციას. კერძოდ, ხუთ-სულიან ოჯახზე ოფიციალურად დადგენილი საარსებო მინიმუმი გამრავლებული 3 თვეზე. კომპენსაციის თანხა (1084 ლარი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობი) დათვლილია საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის - GEOSTAT - ოფიციალური ვებგვერდიდან²⁰ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე. გარდა ამისა, მოწყვლადი ოჯახის წევრებს მიენიჭება უპირატესობა პროექტთან დაკავშირებულ სამუშაოზე დასაქმების კუთხით.

მძაფრი ზემოქმედების ერთჯერადი შემწეობა: პროექტის ზემოქმედებაში მოქცეული ყველა შინამეურნისათვის, რომელიც კარგავს შემოსავლის მომტანი მიწის 10 %-ს და მეტს, დაკარგული მიწის და მოსავლისათვის დადგენილი კომპენსაციის გარდა გათვალისწინებულია დამატებითი სარეაბილიტაციო ღონისძიება, ერთჯერადი შემწეობა.

²⁰ http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=178&lang=geo. ხუთ-წევრიან შინამეურნეობაზე გამოყოფილია თვეში 345.30 ლარი; 345.30 ლარი * 3 თვეზე = 1035.90 ლარს, დამგვალბული 1036 ლარი/შინამეურნეზე.

პროექტის მძაფრი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ოჯახი მიიღებს ფულად კომპენსაციას. კერძოდ, ხუთ-სულიან ოჯახზე ოფიციალურად დადგენილი საარსებო მინიმუმი გამრავლებული 3 თვეზე. კომპენსაციის თანხა დათვლილია საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის - GEOSTAT - ოფიციალური ვებგვერდიდან²¹ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე. გარდა ამისა, მძაფრი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შენამეურნეების წევრებს მიენიჭება უპირატესობა პროექტთან დაკავშირებულ სამუშაოზე დასაქმების კუთხით.

კონტრაქტორის დროებითი ვალდებულებები: სამშენებლო კონტრაქტის ფარგლებში კონტრაქტორი პასუხისმგებელია გასხვისების კორიდორის გარეთ ბანაკების, ოფისების, ნიადაგის ჰუმუსოვანი ფენის, მასალების დასაწყობებისა და გადამუშავებისათვის გამოყოფილი ადგილების და დროებითი მისასვლელი გზების მოწყობის მიზნით შერჩეულ ტერიტორიებზე მოიპოვოს დროებითი სარგებლობის უფლება; პროექტის დასრულების შემდეგ აღნიშნული ტერიტორია აღადგინოს და პირვანდელ მდგომარეობაში მოიყვანოს. კონტრაქტორი პასუხისმგებელია საჭირო ტერიტორიის შერჩევის შემდეგ, შერჩეული ტერიტორიის დასაკავებლად უშუალოდ მიწის მესაკუთრესთან აწარმოოს მოლაპარაკება ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით. ამასთან, გადასახდელი თანხის განსაზღვრის დროს იხელმძღვანელოს წინამდებარე „ლარპ“-ით დამტკიცებული საკომპენსაციო განაკვეთებით. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი ვერ შესძლებს მიწის მესაკუთრესთან შეთანხმების მიღწევას, ვალდებული იქნება შეარჩიოს ალტერნატიული ტერიტორია და მოლაპარაკების გზით გააფორმოს ხელშეკრულება მიწის მესაკუთრესთან. არ დაიშვება კონტრაქტორის მიერ მშენებლობის მიზნით რაიმე მიწის ნაკვეთის თვითნებურად, მესაკუთრესთან შეთანხმების გარეშე დაკავება. კონტრაქტორთან გაფორმებული სამშენებლო კონტრაქტი მოიცავს პუნქტს, რომელიც კონტრაქტორს დააკისრებს შესაბამისი ღონისძიებების გატარების პასუხისმგებლობას, რათა მშენებლობის პროცესმა ხელი არ შეუშალოს გზებზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას.

დაბეგვრის რეჟიმი და სადეპოზიტო /ესქროუ ანგარიშები

აღნიშნული პროექტის ფარგლებში პროექტის ზემოქმედებაში მოქცეულ პირებს/შინამეურნეებს არ დაეკისრებათ რაიმე სახელმწიფო გადასახადი ან ტრანზაქციის რეგისტრაციასთან დაკავშირებული მოსაკრებლები. ამ გადასახადებს სრულად დაფარავს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია.

²¹ http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=178&lang=geo. ხუთ-წევრიან შინამეურნეობაზე გამოყოფილია თვეში 345.30 ლარი; 345.30 ლარი * 3 თვეზე = 1035.90 ლარს, დამგვალებული 1036 ლარი/შინამეურნეზე.

ფულადი კომპენსაციისათვის გამოყოფილი თანხა დეპონირდება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სპეციალურ ანგარიშზე იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელების პროცესში საჭირო გახდება კომპენსაციის გადახდის შეჩერება რაიმე იურიდიული პროცედურის დასრულებამდე.

საჩივრების განხილვის პროცედურა

პროექტის ფარგლებში იმუშავებს საჩივრების განხილვის კომისია. კომისიის როლი და პასუხისმგებლობაა მიიღოს დაინტერესებული პირის პრეტენზია და/ან საჩივარი, შეაფასოს მათი მიზანშეწონილობა, განსაზღვროს საბოლოო ზემოქმედების მასშტაბი, დროულად მოახდინოს საკითხის გადაწყვეტა, კომპენსაციასთან დაკავშირებული პრეტენზიების ჩათვლით.

პროექტის ფარგლებში შემოსული საჩივრის²² და პრეტენზიის განხილვა მოხდება ქვემოთ აღწერილი პროცესის მიხედვით.

ეტაპი	მოქმედების დონე	პროცესი	ვადები
1-ლი ეტაპი	UWSCG-ს ადგილობრივი სერვის ცენტრი	საჩივრების განხილვის პირველ ეტაპზე შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ რეგიონული ფილიალის/სერვის-ცენტრის აბონენტებთან ურთიერთობის განყოფილების/აბონენტთა მომსახურების სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენელი გაეცნობა საჩივრის შინაარსს, უზრუნველყვას საჩივრის რეგისტრაცია ბრძანება N196-ის დანართით 1 დამტკიცებული ფორმის შესაბამისად და წარუდგენს იგი საჩივრს განხილვის კომიტეტს, რომელიც წარმოდგენილ საჩივარს განიხილავს ორი კვირის ვადაში.	2 კვირა
მე-2 ეტაპი	UWSCG-ს საჩივრების განხილვის კომისია	საჩივრის განხილვის პირველ ეტაპზე საჩივარში წარმოდგენილი პრობლემის ორი კვირის ვადაში გადაუჭრელობის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს შეუძლია საჩივრით მიმართოს ბრძანება N196	2 კვირა

²² საჩივრის ფორმა იხილეთ დანართში 1.

ეტაპი	მოქმედების დონე	პროცესი	ვადები
		მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესით შექმნის კომისიას. კომისიის წევრების უმრავლესობის მხარდაჭერით მიღებული გადაწყვეტილება ჩაითვლება საჩივრების განხილვის კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებად და დაინტერესებულ პირს ჩაბარდება კომისიის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი დასკვნა. საქმესთან დაკავშირებული ჩანაწერები განახლდება და მომჩივანს/დაინტერესებულ პირს 14 დღის ვადაში ჩაბარდება კომისიის გადაწყვეტილება.	
მე-3 ეტაპი	აზიის განვითარების ბანკის საქართველოს მისია	თუ კომისია ვერ შესძლებს საჩივარში წამოჭრილი პრობლემის გადაჭრას საჩივრის ოფიციალურად წარდგენის დღიდან ორი კვირის ვადაში, დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს აზიის განვითარების ბანკის საქართველოს მისიას.	

ნებისმიერ მომჩივანს, იქნება ეს ფიზიკური თუ იურიდიული პირი, საჩივრების განხილვის ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია მიმართოს სასამართლოს. საჩივრების განხილვის კომისია არ მოახდენს არანაირ ზეწოლას, არ შეზღუდავს დაინტერესებულ პირს მიმართოს სასამართლოს საკითხის იურიდიული გზით გადაწყვეტის მიზნით.

თუ კომისია ჩათვლის, რომ საჩივარი არ არის მიზანშეწონილი ან სათანადოდ შედგენილი, კომისია წერილობით ახსნა-განმარტებას გაუგზავნის მომჩივანს, რომელსაც შეუძლია არ დაეთანხმოს კომისიის განმარტებას და საქმე აღძრას სასამართლოში.

საკონტაქტო ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ:

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას

მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზ. 76-ბ, თბილისი, საქართველო

ტელეფონი: +(995 32) 291 90 60

ქ-ნი. მაკა გოდერძიშვილი, განსახლების, გარემოს დაცვისა და ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი
მობილური: +(995) 599 22 99 25
(სამუშაო საათები დილის 9-დან საღამოს 6 საათამდე)

საინფორმაციო ბუკლეტის დანართი 1. საჩივრის ფორმა

საჩივრის ფორმა	
მომჩივანის განყოფილება:	
სახელი, გვარი: _____	საფოსტო მისამართი/ /მუდმივი საცხოვრებელი სოფელი: ----- მუნიციპალიტეტი:-----
კომუნიკაციის თქვენთვის სასურველი ფორმა მონიშნეთ X -ით პასუხი ფოსტით, მითითებულ მისამართზე: _____ შეხვედრა საჩივრების მიმღებ პირთან:	საკონტაქტო მონაცემები მობილური:----- ტელეფონი: ----- ელ-ფოსტა: -----
საკომუნიკაციო ენა (მონიშნეთ X -ით)	ქართული სხვა _____(დააზუსტეთ)
საჩივრის წარდგენის თარიღი:	მოსმენის თარიღი:
<p>გთხოვთ, დეტალურად აღწეროთ თქვენი უკმაყოფილების, საჩივრის მიზეზი. საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ ფურცლები.</p> <p>წარმოადგინეთ შესაბამისი დოკუმენტების ასლები</p>	
განმცხადებლის ხელმოწერა: _____ თარიღი _____	ჩაიბარა: (სახელი, გვარი):_____ ხელმოწერა: _____ თარიღი _____

მოწყველადი
ჯგუფები

კატეგორია

დამადასტურებელი დოკუმენტაცია

სიღარიბის
ზღვარს
მიღმა

☐

მიწის
გარეშე
დარჩენილი

☐

მართო
მცხოვრები
ხანში
შესული

☐

ოჯახის
უფროსი
ქალი

☐

ეთნიკური
უმცირესობ
ები

☐

ინვალიდობ
ის გამო

☐

ოჯახის საშუალო წლიური დანახარჯი
ლარი/წელიწადში

საყოფაცხოვრებო ნივთები	ტანსაცმელი	სიგარეტი	საკვები	განათლება	სახლის მოვლა	კომუნიკაცია (ტელეფონი/ინტერნეტი)	კომუნალური გადასახადი			ჯანდაცვა/მკურნალობა	იპოთეკური სესხი
							გაზი	დენი	წყალი		
სოფლის მეურნეობა	პირუტყვი	საკუთარი ბიზნესი	ტრანსპორტი	ავტომობილის შენახვა/რემონტი	მიწის იჯარა	მიწის გადასახადი	სპორტი	დასვენება/მოგზაურობა	პროფესიული ტრენინგი	სხვა	

სხვა უძრავი
ქონების/მიწის
მფლობელობა

უძრავი ქონების სახე	გამოყენება	წლიური შემოსავალი (ლარი/წელიწადში)
სახლი		
მიწის ნაკვეთი		
ბაღი		
სახნავი მიწა		

სამოვარი		
დაქირავებ ული მიწა		
სხვა		

თქვენი აზრით რა ზეგავლენას იქონიებს პროექტი თქვენს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე?					
ძალიან უარყოფით ი	ძალიან დადებითი	არც უარყოფითი, არც დადებითი	დადე ბითი	ძალიან დადებითი	ვერ ვაფასებ

თქვენი აზრით რა ზეგავლენას იქონიებს პროექტი სოციალურ-ეკონომიკურ აქტივობაზე თქვენს თემში?					
ძალიან უარყოფით ი	ძალიან დადებითი	არც უარყოფითი, არც დადებითი	დადე ბითი	ძალიან დადებითი	ვერ ვაფასებ

UWSCG & ADB გადახედვა, თავდაპირვე ლ LARP-ის პროექტსა და ბიუჯეტზე კომენტარები															
კომენტარები ს გათვალისწი ნება & LARP- ის გასაჯაროვებ ის განცხადება															
UWSCG & ADB ის თახნობა LARPის განხორციელ ების დაწყებაზე															
LARPის განხორციელ ება - მიწის შესყიდვა და კომპენსაციის გაცემა															
ზემოქმედები ს ქვეშ მოქცეული პირების ტექნიკური დახმარება (რეგისტრაცი ის განახლება, იურიდიული კონსულტაცია)															

დანართი 8: საჯარო შეხვედრები

ბოლნისის წყლარინების სისტემის (კოლექტორის) მშენებლობის პროექტი

საჯარო განხილვა





Construction of Waste Water System (main collector) in Bolnisi









Public Consultations

Проект Строительства Системы Сточных Вод в Болниси






Общественная Дискуссия

24 Bolnisi, 2018

სახელი, გვარი Name Имя, фамилия	ორგანიზაცია Organization Организация	საკონტაქტო ინფორმაცია Contact information Контактная информация	სტამბა Signature Подпись
შენიშნა ზმელი	საქ. ექსპერტული სერვისების ცენტრი	577380309	
მ.ს. ჯიშკარიძე	UWSC	599220925	
თინათინ ჯიშკარიძე	საერთაშორისო მშენებლობითი სსიპ	577.380413 tinatishvili@yahoo.com	
იონა გოგუაძე	UWSC	599 91 3030 i.chouelidze@water. gov.ge	

სახელი, გვარი Name Имя, фамилия	ორგანიზაცია Organization Организация	საკონტაქტო ინფორმაცია Contact information Контактная Информация	ხელმოწერა Signature Подпись
თამარ ხოპერია	ბუნებრივი მსოფლიო	599 85 98 67 tamara.khoperia@ belnisi.gov.ge	
ნინო ახვადაგია	ბუნებრივი მსოფლიო	599 859 753 592 400034 axvadiagiani55@gmail.com	
მერი აბრამიშვილი	ბუნებრივი მსოფლიო	591-400038 meri.abramishvili@gmail.com	
ბნმ ფუნქციონირება	ბუნებრივი მსოფლიო	599-859772	
მარიამ აბრამიშვილი	ბუნებრივი მსოფლიო	599 85 99 11	
ნინო აბრამიშვილი	ბუნებრივი მსოფლიო	591 400037	
სერგეი აბრამიშვილი	ბუნებრივი მსოფლიო	599-85-99-58	
მარიამ აბრამიშვილი	ბუნებრივი მსოფლიო	599 85 97 46	

სახელი, გვარი Name Имя, фамилия	ორგანიზაცია Organization Организация	საკონტაქტო ინფორმაცია Contact information Контактная Информация	ხელმოწერა Signature Подпись
მირი ფარეშაძე	ბიზნესის განვითარების ქსელი	599 85 9825	მ. ფარეშაძე
ანა ხოსტოძე	ბიზნესის განვითარების ქსელი	599 85 9855	ანა ხოსტოძე
ქსენია ი. მთელი	ბიზნესის განვითარების ქსელი	599 85 9889	ქსენია ი.
ნათელა უბიანი	ბიზნესის განვითარების ქსელი	599 85 9449	ნათელა უბიანი
ირა ფოქვეჩი	ბიზნესის განვითარების ქსელი	591 40 0068	ირა ფოქვეჩი
მედი ფოქვეჩი	ბიზნესის განვითარების ქსელი	599 85 99 04.	მედი ფოქვეჩი
ვოიტი ვოიტი	ბიზნესის განვითარების ქსელი	599-85-98-90	ვოიტი
სერგეი ბილიძე	ბიზნესის განვითარების ქსელი	558-54-42-01	სერგეი ბილიძე

სახელი, გვარი Name Имя, фамилия	ორგანიზაცია Organization Организация	საკონტაქტო ინფორმაცია Contact information Контактная Информация	ხელმოწერა Signature Подпись
აქაი მიქელაძე	ბოლონიზ მენეჯერ გეგია	8-99-85-99-07	
ვითხე მუხვიაძე	შპს ბაილ ტემს- გეგია	599 85 99 03	
ნისა ავთოვაძე	ბოლონიზ მენეჯერ გეგია	598-332-332	
სეზე ვითხე	ბოლონიზ მენეჯერ გეგია	591 40 00 62	
გუგია ავთოვაძე	ბოლონიზ მენეჯერ გეგია	599 98 74	
თამარა ბიგუაძე	ბოლონიზ მენეჯერ გეგია	599 86 99 51	